ახალი განათლება

2013 წელი, 10 - 16 ოქტომბერი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№29 (623) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

მიმდინარეობს ხელმოწერა

წიგნის თვალი



ქართული აგიოგრაფიული ნაწარმოებების ტექსტები წიგნში ახლებური ფორმითაა წარმოდგენილი – მათი ენობრივი განმარტებები სქოლიოში ან გამოცალკევებულ ლექსიკონში კი არ არის მოცემული, შერწყმული და ინტეგრირებულია თვით ტექსტებთან, რაც ახალგაზრდა მკითხველს, საერთოდ, ლიტერატურის შემსწავლელს უთუოდ გაუადვილებს ძველი ქართული პროზის ნიმუშების აღქმასა და გაგებას.

ფასი – 4 ლარი.

გვერდი 9

გეოგრაფიის პედაგოგთა დასახმარებლად

გეოგრაფიის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მასწავლებლების დიდ ნაწილს, სამწუხაროდ, უჭირს მთელი რიგი დავალებების შესრულება. შევეცდებით, ჩვენი გაზეთის საშუალებით, ყურადღება გავამახვილოთ ისეთ საკითხებზე, რომლებიც მეტნაკლებად პრობლემურია გეოგრაფიის პედაგოგებისთვის, მივცეთ მათ რეკომენდაციები და შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ.

რადგან გეოგრაფიის სწავლება წარმოუდგენელია რუკის გარეშე და სასერტიფიკაციო გამოცდაზეც ხშირია, როგორც ზოგადგეოგრაფიულ და თემატურ, ისე ტოპოგრაფიულ რუკებთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის დავალება, ამიტომ ჩვენი პირველი სტატია სწორედ რუკის მნიშვნელობას, მის წაკითხვას, გაგებასა და ანალიზს ეძღვნება. ფაქტია, რომ რუკას მრავალმხრივი დატვირთვა აქვს საგაკვეთილო პროცესში. გეოგრაფიის სწავლებისას რუკაზე მუშაობის მთავარი მიზანია, ვასწავლოთ მოსწავლეებს რუკის გაგება, კითხვა და გამოყენება. მაგრამ ძნელი იქნება ამ ამოცანის შესრულება, თუ თავად მასწავლებელი ვერ ფლობს სათანადო დონეზე ამ საკითხებს.

გვერდი 6-7

გამოცდები

შედეგები, პრობლემები, მიზეზები

დასრულდა 2013 წლის ერთიანი ეროვნული და პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები, რომლებსაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ატარებს.

ისევე როგორც გასულ წლებში, ამჯერადაც გამოცდების შედეგებს აჯამებენ ცენტრის საგნობრივი ჯგუფების ხელმძღვანელები – ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი სოფო დოლიძე და ბიოლოგიის ჯგუფის ხელმძღვანელი აივენგო შათირიშვილი.

გვერდი 2 - 4

გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

დაგვიკავშირდით: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

CMYK

გამოცდები – შედეგები, პრობლემები, მიზეზები

გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი
სოფო დოლიძე

– როგორი იყო ზოგად უნარებში გამოცდების შედეგები? განსაკუთრებით საინტერესოა პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგი, რადგან წელს სიახლე იყო კომბინირებული გამოცდა დაწყებითი საფეხურის პედაგოგთათვის, რომელიც სამ საგანს მოიცავდა.

წლევანდელი კონკურსი ზოგად უნარებში შედარებით მარტივი აღმოჩნდა აბიტურიენტებისთვის, ეს ტესტების სტატისტიკურმა ანალიზმა გვიჩვენა. სამი ტესტი ძალიან ახლოს იყო ერთმანეთთან, სირთულის თვალსაზრისით. ერთი ვარიანტი შედარებით რთული აღმოჩნდა. უცნაურია, მაგრამ რთული იყო კვლავ მესამე ვარიანტი, რამაც ამ ბოლო პერიოდში აბიტურიენტებს ისეთი დამოკიდებულება გაუჩინა, რომ მაინცდამაინც მესამე ვარიანტი იქნება რთული. გარწმუნებთ, ეს სრულიად შემთხვევით მოხდა, თან აბიტურიენტები ყურადღებას აქცევენ ყოველ იმ წელიწადს, როდესაც მესამე ვარიანტი აღმოჩნდა რთული. მაგალითად, შარშან მეორე იყო, ადრე სხვა ვარიანტებიც ყოფილა რთული. ასე რომ, ეს ნამდვილად სპეციალურად არ ხდება, შემთხვევით აღმოჩნდა ისე, რომ მესამე ვარიანტში თავი მოიყარა შედარებით რთულმა დავალებებმა. თუმცა, მინდა აბიტურიენტები დავარწმუნო, რომ ყველა ვარიანტი სწორდება სკალირების საშუალებით, რომელიც ახლავს გამოცდას, რომელსაც ტესტის რამდენიმე ვერსია აქვს. სკალირება ის პროცედურაა, რომელიც სწორედ ამ უთანაბრობას აღმოფხვრის, ყველა სხვადასხვა ვარიანტში მიღებულ ქულას ერთმანეთს ადარებს იმის დასადგენად, რომელი უფრო მაღალია, ვთქვათ, პირველი ვარიანტის 60 ქულა თუ მეორე ვარიანტის 60 ქულა, თუ ისინი მართლაც თანაბარია. ძალიან მცირე განსხვავებაც კი, რომელიც შეიძლება იყოს და აუცილებლად აღმოჩნდება ტესტებს შორის (ერთი და იმავე სირთულის ტესტები თეორიულადაც კი შეუძლებელია), აღმოიფხვრება სკალირების პროცედურის შემდეგ.

40 ათასზე მეტი აბიტურიენტი ჯერ არ გვყოლია, წელს პირველად 42 ათასამდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა და ისინი ოთხ სესიად განთავსდნენ იმ საგამოცდო ცენტრებში, რომლებსაც ყოველწლიურად ამზადებს გამოცდების ეროვნული ცენტრი იმის მიხედვით, რამდენი აბიტურიენტია დარეგისტრირებული. იმედი გვაქვს, მომავალში აბიტურიენტთა მეტი რაოდენობა აღარ იქნება, რადგან რთულია ძალიან მსგავსი სირთულის, ამავდროულად დავალებებით ერთმანეთისგან განსხვავებული სხვადასხვა ვერსიის მომზადება. ეს ძალიან დიდი სამუშაოა, არ არის მხოლოდ დავალებების შექმნა. ტესტი იქმნება ორიგინალად ქართველი ექსპერტების მიერ, შემდეგ დავალებები აუცილებლად უნდა გამოიცადოს.

სამწუხაროდ, წელს გვქონდა ასეთი შემთხვევა – სწორედ გამოცდების პერიოდში, თვითონ აბიტურიენტებმა გამოაქვეყნეს ერთ-ერთი რეპეტიტორის მიერ შეგროვებული მასალა – აბიტურიენტების მიერ საცდელ ტესტირებებზე დამახსოვრებული დავალებები. ყველა რეპეტიტორის მიმართ გვექნება თხოვნა, იმუშაონ აბიტურიენტების უნარების განვითარებაზე, თუმცა ვფიქრობ, რომ ამის მიღწევა ერთ წელიწადში შეუძლებელია, მაგრამ თუ მაინც „ამზადებენ აბიტურიენტებს“, მაშინ მართლაც მათი უნარების განვითარებაზე იზრუნონ, წააკითხონ ახალი, უცხო ტექსტი, ასწავლონ მისი გააზრება, ასევე, ერთი წლის განმავლობაში ნამდვილად შეუძლიათ ასწავლონ ელემენტარული მათემატიკა, გააცნონ ტესტის სტრუქტურა, გაავარჯიშონ დროის ზუსტად განსაზღვრაში, პასუხების ფურცლის სწორად შევსებაში და ა.შ., რომ აბიტურიენტისთვის ახალი და მოულოდნელი არაფერი იყოს გამოცდაზე. მით უმეტეს, რომ ყოველწლიურად ქვეყნდება ჩვენი ტესტის ოთხივე ვარიანტი და პირადად მე ვფიქრობ, რომ ნებისმიერი აბიტურიენტი ამას დამოუკიდებლადაც შეძლებს, მაგრამ თუ მას მაინცდამაინც რეპეტიტორთან უნდა მომზადება და რეპეტიტორებიც „ამზადებენ“ ზოგად უნარებში (რაც ჩემთვის სრულიად გაუგებარი და ცოტა სასაცილოც კი არის), მაშინ ამ მომზადებას ამგვარი სახე მაინც ჰქონდეს და არა მეხსიერებაზე დაფუძნებული დავალების – საცდელ ტესტირებაზე დაიმახსოვრე რაც შეიძლება მეტი დავალება და კი არ ამოხსნა, არ იმუშაო, შენს უნარს კი არ მიაქციო ყურადღება, არამედ ეცადე დაიზეპირო, რადგან გამოცდაზე შეიძლება ეს დავალება შეგხვდეს. სპეციალურად იყვნენ აბიტურიენტები მობილიზებულები, რომ საცდელ ტესტირებაზე დაემახსოვრებინათ დავალებები და მიეტანათ რეპეტიტორისთვის. ცხადია, ყველაფერს ვერ დაიზეპირებ, ძალიან რთულია წინადადების შევსების დამახსოვრება, ამოცანების პირობებს უფრო დაიმახსოვრებს ადამიანი, მის ძირითად შინაარსს. ანალოგიების დაზეპირების მცდელობაც იყო, ასევე ლოგიკის ზოგიერთი წანამძღვრის... გარდა იმისა, რომ ამან საცდელი ტესტირებების ამგვარი ფორმით ჩატარებას გაუჩინა პრობლემა (სხვა სტრატეგიებზე ვფიქრობთ), ძალიან გულსატკენი იყო მსგავსი დამოკიდებულება. ეს არის ზოგადი უნარების გამოცდა, რომელიც ორიენტირებულია სწორედ მსჯელობაზე, აზროვნებაზე, ახალი ინფორმაციის გადამუშავებაზე, რადგან უმაღლეს სასწავლებლებში ეს უნარები სჭირდებათ ახალგაზრდებს – უამრავი ახალი მასალა უნდა აითვისონ, წაიკითხონ სხვადასხვა ავტორის სამეცნიერო ლიტერატურა. ნაცვლად იმისა, რომ მასწავლებლებმა/რეპეტიტორებმა ამაზე იმუშაონ, ყურადღება გადააქვთ იმ დავალებების დაზეპირებაზე, რომლებიც ან იქნება ან არ იქნება ტესტში, ან სახეცვლილი იქნება. ასეთი მიდგომა სრულიად წარმოუდგენელი და გულსატკენია, აბიტურიენტებს რეალურად ცუდი საქციელისკენ უბიძგებენ – იციან, რომ ეს მასალა კონფიდენციალურია. ყველაფერთან ერთად, სწორედ აბიტურიენტისთვისაა საზიანო – ასეთი დაზეპირებული დავალებები მას გარკვეულ ჩარჩოში აქცევს და ძალიან რთულია შემდეგ ამ ჩარჩოდან გამოსვლა. გამოცდაზე მაინცდამაინც იმ დავალებებს ელოდებიან, რაც დაიზეპირეს და რაც იქ ნამდვილად არ დახვდებათ. 80-ქულიან ტესტში 80 დავალება გვაქვს, შეუძლებელია იქ იმის იმედად დარჩე, რომ ერთი-ორი ანალოგია დაიზეპირე და რამდენიმე ამოცანის შინაარსი გახსოვს. სრულიად მიუღებელია უნარების გამოცდისთვის დაზეპირებით მომზადება. ეს დამოკიდებულება ძალიან ცუდ განწყობას ქმნის გამოცდის მიმართ. რა თქმა უნდა, მიუხედავად ამისა, საცდელი გამოცდები მაინც ჩატარდება.

დავუბრუნდები იმას, რომ ოთხი ვერსიის მოსამზადებლად ძალიან დიდი სამუშაოა ჩასატარებელი და ყველა დავალება, რა თქმა უნდა, აუცილებლად იქნება გამოცდილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელია განვსაზღვროთ, რამდენად ვარგისია დავალება, რამდენად განარჩევს ის უნარიან და ნაკლებადუნარიან აბიტურიენტებს ერთმანეთისგან, რამდენად გასაგებად არის ჩამოყალიბებული – ერთმნიშვნელოვანია ყველა აბიტურიენტისთვის და ა.შ. იქმნება ბანკი დავალებების, საიდანაც ვირჩევთ იმ ოთხ ვარიანტს, რომლებიც უკვე საგამოცდოდ მზადდება.

მომავალი წლისთვის აბიტურიენტებს რაიმე სიახლეს არ ვთავაზობთ, ერთადერთი, ვფიქრობ, რომ ცოტა წაკითხულის გააზრების ნაწილი გავაძლიეროთ. ეს იქნება მნიშვნელოვანი მიმართულება. საერთოდ ნებისმიერი სპეციალობით უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად სწორედ ეს უნარია მნიშვნელოვანი – წაკითხული ახალი ტექსტიდან შეგვეძლოს აზრის გამოტანა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ტესტში 2 ტექსტია წასაკითხი და 12 დავალება ეთმობა ვერბალური ნაწილის 40 დავალებიდან, მაინც გვინდა, რომ ამ დავალების წილი ოდნავ კიდევ უფრო გავზარდოთ. მინდა ვთხოვო ჩვენს აბიტურიენტებს, ყურადღებით მოეკიდონ ამ ნაწილს, რადგან, გავიმეორებ, რომ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. სამწუხაროდ, ზოგიერთი ტექსტს საერთოდ არც კი კითხულობს და მთელ დროს ტესტის სხვა ნაწილებს უთმობს. ეს გულდასაწყვეტია, მით უმეტეს, რომ ძალიან საინტერესო ტექსტებს ვთავაზობთ ჩვენს აბიტურიენტებს.

ეს, რაც ეხება აბიტურიენტების გამოცდებს. გარდა ამისა, წელს გვქონდა მასწავლებლების 4 გამოცდა. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს რამდენიმე სახის სერტიფიკატს სთავაზობს განათლების სამინისტრო: პირველი-მეოთხე კლასების მასწავლებელი, რომელიც კომბინირებულად რამდენიმე საგანს ასწავლის – ქართული, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება და საგნობრივი გამოცდები თითოეულ ამ სამ საგანში ცალ-ცალკე, რომლებიც პირველ-მეექვსე კლასებს მოიცავს. როგორც იცით, დაწყებითი საფეხური პირველ-მეექვსე კლასებს მოიცავს, მაგრამ რადგან კომბინირებული გამოცდა თავისთავად მძიმეა თავისი შინაარსით – სამი საგანი შედის გამოცდაში – ამიტომ პირველ-მეოთხე კლასების მასწავლებლისთვის მზადდება. წლების განმავლობაში ტრადიციაც ასეთი იყო, დაწყებითი კლასების მასწავლებლები განათლებას სწორედ ასე იღებდნენ – პირველ-მეოთხე კლასების საფეხურისთვის.

ეს გამოცდა გარდამავალია და 2014 წლის შემდეგ, წესით, აღარ უნდა იყოს, ვინაიდან ჩვენს სახელმწიფოში დაწყებითი საფეხური პირველი-მეექვსე კლასებითაა განსაზღვრული. მაგრამ კიდევ ბევრი მასწავლებელია, ვინც პირველ-მეოთხე კლასებს ასწავლის და სერტიფიკატი არ აქვს. როგორი იქნება ამ გამოცდის ბედი ჯერ არ ვიცით, ამაზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს.

სამწუხაროდ, წელს ყველაზე ცუდი შედეგი სწორედ ამ გამოცდას ჰქონდა. ბევრი მასწავლებლისგან გვესმის, რომ ეს გამოცდა რთულია. უნდა დავეთანხმო – გამოცდა, თავისი სირთულით არის შესაბამისი იმ შრომისა, რასაც მასწავლებელი ეწევა სკოლაში. თუ მასწავლებელი სამ საგანს ასწავლის, თავისთავად ძალიან რთული საქმეა ერთდროულად ასწავლო ქართული, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება. ამ საგნების ცოდნა მარტო პირველი-მეოთხე კლასების დონეზე ცოდნას არ გულისხმობს, მასწავლებელს ბევრად მეტი მოეთხოვება, ბევრად უფრო ღრმა ცოდნა – ამ მოთხოვნას მას სტანდარტი უყენებს. იყო დაწყებითი კლასების პედაგოგი, ნიშნავს იყო ძალიან კარგად მცოდნე პედაგოგი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული სამი მნიშვნელოვანი საგნის, რომლებზეც შემდგომ მთელი ჩვენი განათლება შენდება, ძალიან რთული საქმეა. შესაბამისად, ვერც ტესტი იქნება მარტივი. ტესტის ფორმატი თავისთავად საკმაოდ დატვირთულია, რადგან სამი სხვადასხვა საგანია. გარდა ამისა არის აუცილებელი კომპონენტი – კითხვის და წერის სწავლების ნაწილი, რომელიც როგორც ამ გამოცდაზე, ასევე საგნობრივ გამოცდებზეც აუცილებელი ნაწილია. ეს სწორედ ის საფეხურია, სადაც ადამიანი კითხვას და წერას სწავლობს და თუ ამ საფეხურზე ეს ორი უნარი სწორად არ აითვისა, შემდგომ მისი განათლება ეჭვქვეშ იქნება დაყენებული. ამ ნაწილს 15 ქულა ეთმობა და ვფიქრობთ, რომ აუცილებელია პედაგოგებისთვის. გარდა ამისა, ტესტში კიდევ ორი ნაწილია.

აკადემიური უნარების ნაწილი, რომელშიც წაკითხულის გააზრება, ანალიტიკური წერა/თხზულების დაწერა შედის, არანაკლებ მნიშვნელოვანია მასწავლებლებისთვის, რომელმაც მოსწავლეს პირველ საფეხურზე უნდა ასწავლოს.

როგორც ხედავთ, ტესტი მრავალი ნაწილისგან შედგება, მრავალფეროვანია და 5 საათი გრძელდება. ამ დროის განმავლობაში ტესტის ერთი ნაწილიდან მეორეზე გადასვლა მართლაც არ არის იოლი ჩვენი მასწავლებლებისთვის. მაგრამ, გავიმეორებ, რომ ადეკვატურია იმ სამუშაოსი, რასაც ისინი სკოლაში ასრულებენ. მათ მართლაც რთული სამუშაო აქვთ. ბევრს ჰგონია, რომ მეშვიდე-მეთორმეტე კლასებში სწავლება უფრო რთულია, ნამდვილად არ არის ასე. მე რომ მკითხოთ, პირველ-მეოთხე კლასებში სწავლება გაცილებით რთულია, ყველაზე მძიმე ალბათ პირველი კლასია. ეს იმდენად საპასუხისმგებლო სამუშაოა, რომ დაწყებითი კლასების პედაგოგები ყველაზე დაფასებულები უნდა იყვნენ. ისინი ქმნიან ადამიანის განვითარების საფუძველს არა მარტო განათლების, არამედ საერთოდ ყველა სფეროში.

წლევანდელი ტესტი წარმატებით შეასრულა პედაგოგების მხოლოდ 7%-მა, განსაკუთრებით გაუჭირდათ ანალიტიკური წერის დავალების შესრულება, ანუ თხზულების დაწერა. თხზულება ძალიან საინტერესო იყო, საბავშვო ნაწარმოებების სხვადასხვა სახეობას შეეხებოდა, მაგალითად, დონალდ ბისეტის „ყველაფერი ყირამალადან“ და ჯანი როდარის ზღაპრიდან იყო მოყვანილი ნაწყვეტები და უნდა ემსჯელათ, რატომ მიმართავენ ავტორები ამ ხერხს – ყველაფერი ყირამალა დააყენონ. როგორც ჩანს, ეს არ აღმოჩნდა მარტივი გასააზრებელი და დასაწერი ჩვენი პედაგოგებისთვის. შეიძლება მოულოდნელი და არასტანდარტული საკითხია, არ არის ისეთი ბანალური, როგორც, ვთქვათ, კომპიუტერთან ურთიერთობა ჯობია თუ წიგნთან, ან როგორ გავლენას ახდენს ტელევიზორი ბავშვზე. მსგავს თემატიკას სპეციალურად არ ვაწვდით პედაგოგებს, ვფიქრობთ, რომ ეს ისეთი თემებია, რომელთა ირგვლივ ადამიანებს აქვთ საკუთარი აზრი. ვცდილობთ რაიმე ორიგინალური, ახალი შევთავაზოთ. აღმოჩნდა, ამაზე მუშაობა ცოტა გაუჭირდათ.

ტექსტი, რომელიც შევთავაზეთ და ასევე არ აღმოჩნდა მარტივი, ისევ და ისევ ბავშვს შეეხებოდა, მე-სთან დაკავშირებულ ემოციებს – როგორც ჩანს, მსგავსი ლიტერატურაც ძნელად ხელმისაწვდომია ჩვენი პედაგოგებისათვის, ან ამ ლიტერატურის გასაცნობად არ აქვთ საკმარისი დრო, ან ქართულ ენაზე არ არის საკმაო ლიტერატურა, ან მათთვის არ არის ხელმისაწვდომი, ყოველ შემთხვევაში, ეს ახალი სფერო აღმოჩნდა.

რაც შეეხება საგნობრივ ნაწილს, კითხვისა და წერის სწავლების დავალებას მეტნაკლებად კარგად გაართვეს თავი, თუმცა სამივე საგანში პრობლემაა ე.წ. ღია დავალებები, სადაც არ არის მოცემული სავარაუდო პასუხები და აპლიკანტმა/მასწავლებელმა თვითონ უნდა დაწეროს. როგორც წესი, ასეთი დავალებები უფრო რთულია, ვიდრე არჩევითპასუხიანი დავალებები, როდესაც ცოდნის სფეროს ვაფასებთ. ესეც, ალბათ, ანალიტიკური წერის პრობლემას ეხმიანება. როგორც ჩანს, აზრის ჩამოყალიბება მოკლე დროში, შეზღუდულ პირობებში არ არის ადვილი ჩვენი პედაგოგებისთვის.

კიდევ ერთხელ განვაახლებთ კრებულს ტესტით, რომელიც წელს გამოცდაზე იყო და მასწავლებლებს გავაცნობთ ნიმუშებს პასუხებისა, რომლებიც მაღალი ქულებით შეფასდა, რომ ერთგვარი ორიენტირი მივცეთ მათ, როგორ უნდა გაეცეს პასუხი ამა თუ იმ დავალებას. შესაბამისად, იმედი გვაქვს, რომ მომავალი წელი უფრო წარმატებული იქნება.

შედარებით წარმატებული იყო საგნობრივი გამოცდები – პირველი-მეექვსე კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდაზე წარმატებული აღმოჩნდა 28%, ბუნებისმეტყველების გამოცდაზე – 25%, მათემატიკის – 21%. პრინციპში, არც ეს არის ძალიან მაღალი პროცენტი, მაგრამ 7%-ს ბევრად ჯობია. უნდა ვთქვათ ისიც, რომ ამ გამოცდებზე, ფორმატის თვალსაზრისით, უფრო მარტივი სამუშაოა – ერთ საგანს მოიცავს და მათემატიკის მასწავლებელი მხოლოდ მათემატიკაზე მუშაობს. ცხადია, მასაც აქვს ანალიტიკური წერის ნაწილი და წაკითხულის გააზრების ნაწილი შესასრულებელი, ასევე აქვს აუცილებლად კითხვისა და წერის სწავლების ნაწილი, რაც პედაგოგთა ძალიან სერიოზულ პროტესტს იწვევს. რამდენიმე შენიშვნა მივიღეთ – ბუნებისმეტყველების ან მათემატიკის მასწავლებლებმა რატომ უნდა იცოდნენ ეს საკითხები. ეს ნაწილი ძალიან მნიშვნელოვანია დაწყებით საფეხურზე მუშაობისას, სულერთია, რა საგანს ასწავლი და როგორღაც უნდა დამკვიდრდეს მიდგომა, რომ მარტო ქართულის მასწავლებელი არ ასწავლის წერა-კითხვას. ძალიან ბევრ მოსწავლეს პრობლემა მათემატიკაში ან ბუნებისმეტყველებაში სწორედ იმიტომ

უჩნდება, რომ კითხვა არ იცის კარგად, დავალების/ამოცანის პირობას ვერ კითხულობს და ვერ იაზრებს და ამიტომ ვერც ასრულებს მას. შეიძლება ძალიან კარგად იცოდეს მიმატება და გამოკლება, მაგრამ ვერ გაიგოს, რას ავალებს დავალება და ამიტომ ვერ აღწევს წარმატებას. რომ ვერ იგებს, შემდეგ უარყოფითი დამოკიდებულება უჩნდება. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა. მათ უნდა შეძლონ ამა თუ იმ მოსწავლის პრობლემის ამოცნობა და დახმარება. ყველაფერი ქართული ენის მასწავლებელზე არ უნდა იყოს გადაბარებული. პირველ, მეორე და მესამე კლასებში ყველა გაკვეთილზე უნდა ვიმუშაოთ კითხვის და წერის უნარის განვითარებაზე. მათემატიკის მასწავლებელმაც უნდა გაუსწოროს მოსწავლეს, თუ ის წერის დროს ასოებს ტოვებს, ან ანაცვლებს, ან სწორად ვერ კითხულობს... დახმარების სწორი სტრატეგია უნდა შესთავაზოს ისევე, როგორც ქართული ენის მასწავლებელმა. ეს დამოკიდებულება ჩვენს პედაგოგებში ჯერ არ არის. არიან პედაგოგები, რომლებიც ამ გამოცდას აბარებენ, მაგრამ დაწყებით საფეხურზე არ უსწავლებიათ (მეშვიდე-მეთორმეტე კლასების პედაგოგები), მათთვის ეს განსაკუთრებით ახალია, მაგრამ აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ პირველ კლასში ასწავლო, უნდა იცოდე, რა პრობლემებს წააწყდება ბავშვი ტექსტის, სიტყვების, წინადადების ან რიცხვების კითხვისას. თუ პრობლემა არის, ისიც უნდა იცოდე, როგორ გადაჭრა.

გარკვეული წინააღმდეგობის მიუხედავად, ტესტის ეს ნაწილი აუცილებლად დარჩება და გვინდა, რომ მასწავლებლებმაც გაიაზრონ მისი მნიშვნელობა. ყველა პედაგოგმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს იმას, თუ როგორ წერს და კითხულობს მოსწავლე. თუ ეს ორი უნარი სათანადოდ არ არის განვითარებული დაწყებით საფეხურზე, მაღალ საფეხურებზე აუცილებლად გვექნება პრობლემა. ამიტომ, გვინდა მოვუწოდოთ პედაგოგებს, რაც შეიძლება მეტი იმუშაონ ამ საკითხზე. გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის ჯგუფმა გამოსცა კრებული – „როგორ ვასწავლოთ კითხვა“, რომელშიც კითხვის სწავლების თანამედროვე მიდგომებია თავმოყრილი. პედაგოგებს შეუძლიათ გაეცნონ ამ კრებულს, რთული ნამდვილად არაფერია, არის ყოველდღიურ გამოცდილებაზე დაფუძნებული დავალებები და არა თეორიული, პრაქტიკას მოწყვეტილი. მათი შესრულება ნამდვილად შეიძლება, თუკი ვიცნობთ ამ ასაკის მოსწავლეს და წარმოგვიდგენია, როგორ უნდა ვიმუშაოთ მასთან. თუ დაწყებითი საფეხურის სერტიფიკატის აღებას ვაპირებთ, აუცილებლად უნდა ვიყოთ მზად 6-7 წლის მოსწავლესთან ურთიერთობისთვის.

ასეთი მოსაზრება იყო, თითქოს ძალიან რთული ტესტები შევთავაზეთ მასწავლებლებს და ამასთან დაკავშირებით იყო რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა. თუმცა ცალკეული დავალება რომ ვნახოთ, ასეთი შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაგვრჩება. დავალებებმა მოიცვა ყველაფერი, რაც სტანდარტშია წარმოდგენილი. მაქსიმალურად დიდი ნაწილი სტანდარტისა უნდა დაიფაროს, რომ შემოწმდეს სტანდარტთან მასწავლებლის ცოდნისა და უნარების შესაბამისობა, გამოცდის დანიშნულება ეს არის. 5-საათიანი გამოცდა თავისთავად მაინც სტრესია და ყველაფერი ერთად განაპირობებს იმას, რომ ერთი შეხედვით ძალიან მარტივ დავალებებსაც ვერ ვუმკლავდებით. ეს ძალიან ბუნებრივია, ცენტრის თანამშრომლები ყოველთვის ვამბობთ, რომ არ უნდა ვაქციოთ ზედმეტ ტრაგედიად და ჩვენს პრესტიჟზე ეს არ უნდა აისახოს. ძალიან კარგად გვიცნობენ მასწავლებლებიც, სკოლის ადმინისტრაციაც, მშობლებიც, მოსწავლეებიც და მხოლოდ ერთი 5-საათიანი გამოცდის საფუძველზე რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება ჩვენს კვალიფიკაციასთან დაკავშირებით ძალიან რთულია და ცხადია, არ მოხდება.

იმედი გვაქვს, მომავალში თვითონ სისტემა მასწავლებლის შეფასებისა უფრო დაიხვეწება და, სამწუხაროდ, როგორც დღეს არის – მხოლოდ გამოცდაზე დაფუძნებული – არ იქნება. თავიდან ასეც იყო ჩაფიქრებული, გამოცდა უნდა ყოფილიყო ერთი კომპონენტი, ბევრ სხვასთან ერთად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ერთადერთია, რაც ნამდვილად არ არის სწორი. იმედი გვაქვს, რომ მომავალში ეს შეიცვლება – დაემატება პრაქტიკული კომპონენტი, ანუ გაკვეთილზე როგორ ასწავლის მასწავლებელი. სხვადასხვა კომპონენტების შეფასებით უფრო სრული სურათი გვექნება და ჩვენი პედაგოგებიც უკეთ წარმოჩნდებიან.



გვესაუბრება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ბიოლოგიის ჯგუფის ხელმძღვანელი
აივენგო შათირიშვილი

– ბატონო აივენგო, როგორც ბიოლოგიის ჯგუფის ხელმძღვანელი, როგორ შეაფასებდით პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდის შედეგსა და ერთიან ეროვნულ გამოცდას ბიოლოგიაში?

– მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდებისა და მოსწავლეთა ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ დიაგნოზად, რომელმაც გამოავლინა ჩვენი ქვეყნის განათლების სისტემაში არსებული ნაკლოვანებები. გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა დასვა დიაგნოზი, როგორიც უნდა იყოს ის – მოსაწონი თუ მიუღებელი, ჩვენ ვაჩვენეთ რეალური სურათი – როგორია მდგომარეობა. ჩვენი საქმე მხოლოდ შეფასებაა, ანუ ჩვენ ვართ ინდიკატორი – რა მდგომარეობაა დღეს ჩვენს სკოლაში. თქვენს შეკითხვაზე პასუხს დავიწყებ მასწავლებლებით, იმიტომ რომ ყველაზე შემაშფოთებელი მდგომარეობა პედაგოგებთან გვაქვს.

რა არის ამის მიზეზი? ის ხომ არა, რომ ჩვენ ძალზე რთული ტესტები შევადგინეთ? ნებისმიერ ექსპერტს აჩვენეთ აბიტურიენტთა ტესტური დავალები და დავალებები, რომლებიც პედაგოგებისათვის იყო გამიზნული. ვფიქრობ, ყველა მათგანი დაგიდასტურებთ, რომ სირთულის თვალსაზრისით მათ შორის დიდი განსხვავება არ არის. იგი ეროვნულ სასწავლო გეგმასა და ერთიან ეროვნულ საგამოცდო პროგრამას არ სცილდება. სამწუხაროდ, ამისდა მიუხედავად პედაგოგების 77.7%-მა კომპეტენციის ზღვარი ვერ გადალახა.

აუცილებელია გავიაზროთ და გავაანალიზოთ ამის მიზეზები. თუმცა აქ იმდენი მიზეზია, გაზეთის ერთი ნომერი კი არა, ყველა მომდევნოც არ ეყოფა, შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

პირველი და მთავარი რა არის – ბიოლოგიაში, 90-იანი წლების შემდეგ, არნახული გარდაქმნებია, შეიძლება პირდაპირ ვთქვათ, რევოლუცია მოხდა. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე თუნდაც 2010 წლის ჩათვლით, გააანალიზეთ, რა ეკონომიკური მდგომარეობა იყო საქართველოში. განა ვინმეს პედაგოგებისათვის ეცალა? იყო თუ არა მაშინ ისეთი ტექნიკური საშუალებები, როგორიც დღეს არის? სამწუხაროდ, საგანმანათლებლო გადაცემები ქართულ ტელევიზიაში არ არსებობს, მხოლოდ ყვითელი პიარი ჭარბობს და ყველაფერი პოლიტიკურ ფონზე მიდის. ამრიგად, საგანმანათლებლო გადაცემებისათვის, გინდა გაზეთები აიღეთ, არავის სცალია. აი, ამის შედეგი – ბიოლოგიაში მოხდა დიდი ძვრები და ამან, თითქოს, შეუმჩნევლად ჩაიარა, მასწავლებლებს ეს არ შეეხო, მათ სათანადო ინფორმაცია ვერ მივაწოდეთ. არ არსებობს ისეთი ლიტერატურა, წიგნი, რომელიც პოპულარულად მიაწოდებდა მათ ამ ინფორმაციას.

შემდეგი მიზეზი – ჩატარდა რეფორმა, ანუ ახალი სტანდარტი შემოვიდა. როგორ შემოვიღეთ ჩვენ ის? რა თქმა უნდა, ნაუცბათევად. განათლება შოკურ თერაპიას ვერ იტანს, ეს უნდა მომხდარიყო თანდათანობით, დაკვირვებისა და კვლევის საფუძველზე და არავინ დაზარალდებოდა. მასწავლებლებს ეს კოლოსალური ინფორმაცია უცებ ზვავივით დაატყდა თავს. დაირღვა ძველი სისტემა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გერმანულ-რუსული მოდელი და გადავედით ამერიკულ, ნაწილობრივ ევრო-ამერიკულ მოდელზე. ამისთვის მასწავლებელი აბსოლუტურად მოუმზადებელი იყო, იყო გარკვეული მცდელობები საამისოდ, მაგრამ აბსოლუტურად არასაკმარისი. სრულიად ახალი ნოვაცია შევთავაზეთ და ამით მასწავლებელი შევაშინეთ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ კულუარებში თუ გაიგონებთ ჩივილს ან კრიტიკულ შენიშვნებს, ვერსად ვერ წაიკითხავთ (ვერც თქვენს გაზეთში და ვერც სხვაგან) ამ თემის ირგვლივ კრიტიკულ სტატიებს – როგორ აფასებენ მასწავლებლები საგნობრივ სტანდარტს, სასკოლო სახელმძღვანელოებს, ან, ზოგადად, ეროვნულ სასწავლო გეგმას, როგორ წარმოუდგენიათ მისი მომავალი განვითარება და ა.შ. ამგვარი მსჯელობა, აზრებისა და გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა, მჭიდრო კომუნიკაცია და ურთიერთთანამშრომლობა პრაქტიკოს მასწავლებლებსა და განათლების სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებს შორის მხოლოდ წაადგება საქმეს, ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, აუცილებელია, რომ საგნობრივი სტანდარტების შემუშავების პროცესში მასწავლებელთა უფრო ფართო წრე იყოს ჩართული.

კიდევ ერთი პრობლემაა მეთოდური ლიტერატურის ნაკლებობა, „შიმშილი“, შეიძლება ასეც ითქვას. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ მეთოდურ ლიტერატურას, წიგნს (რა თქმა უნდა ბიოლოგია მაქვს მხედველობაში), რომელიც დაეხმარება მასწავლებელს. როდესაც ცენტრი მასწავლებლების სერტიფიცირებას იწყებდა, ვიცოდით ამ პრობლემის წინაშე რომ აღმოვჩნდებოდით. ცენტრმა მოამზადა მასწავლებლებისათვის დამხმარე სახელმძღვანელო იმ პროგრამის მიხედვით, რაც განათლების სამინისტრომ დაამტკიცა. სამწუხაროდ, ამ წიგნს არც დადებითი და არც უარყოფითი გამოხმაურება არ მოჰყოლია. მივიდა კი პედაგოგებამდე? ალბათ, არ მისულა, მას პოპულარიზაციას არავინ უწევს.

მასწავლებელი ძალიან გადატვირთული და გადაღლილია. ჩვენ ისინი კი არ უნდა დაგვეშინებინა, მათ გვერდით უნდა დავმდგარიყავით და ერთად ჩაგვეტარებინა ეს რეფორმა. ერთ-ერთ თბილისელ პედაგოგს ვკითხე, რითი მოემზადა გამოცდისთვის და მიპასუხა – სასკოლო სახელმძღვანელოებით, სხვა არ ვიციო. რა თქმა უნდა, მივეცი ჩვენ მიერ მომზადებული სახელმძღვანელო. თბილისში რომ ასეა, სოფლებში რა მდგომარეობა იქნება. განა ყველას მიუწვდება ხელი ინტერნეტზე?

ცალკე თემაა სასკოლო სახელმძღვანელოები, რა სახელმძღვანელოსთან გვაქვს საქმე. მართალია, ბიოლოგიაში ჩვენ ამის ტრადიცია არ გვქონდა, ძირითადად ვიყენებდით საკმაოდ კვალიფიციურ, რუსულიდან ნათარგმნ სასკოლო ლიტერატურას, რომელიც ასე იყო დალაგებული – ბოტანიკა, ზოოლოგია, ანატომია და ფიზიოლოგია ადამიანისა და ზოგადი ბიოლოგია. ეს მოიშალა და შემოვიდა ახალი სახელმძღვანელოები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმაზეა დაფუძნებული. როგორია ეს სახელმძღვანელოები? სამწუხაროდ, ისინი ხშირად ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს. მე არსად არ წამიკითხავს რეცენზია ამ წიგნების შესახებ. სახელმძღვანელო რომ გადავშალოთ, ვნახავთ, რომ ერთ გვერდზე ერთი წერია, მეორეზე – მისი საწინააღმდეგო. რა ქნას მასწავლებელმა – იმ პირველ გვერდს დაუჯეროს თუ მომდევნოს? ამას ემატება კიდევ მასწავლებლის წიგნი, უფრო სწორად, მისი არარსებობა. აი, ახლა გიჩვენებთ, რა დიდია მოსწავლის წიგნი და შეადარეთ მასწავლებლის წიგნი, ხედავთ, შედარება არ არის, როგორი მიზერული და მწირია მასწავლებლის წიგნი, შერჩევით არის განხილული გაკვეთილები, რომელიც ავტორს მოესურვა. მასწავლებლის წიგნში ყველა თემა უნდა იყოს ამომწურავად განხილული, რათა მასწავლებელს არ დასჭირდეს სხვაგან სტატიების მოძიება, უნდა დაეხმაროს მას ნოვაციის, ახალი მასალის ათვისებაში. არსებული სახელმძღვანელო, ფაქტობრივად, არაფერს აძლევს მასწავლებელს – ფორმალური, უხეირო, შეცდომებით დახუნძლული, არ არის გათვალისწინებული მოსწავლის ასაკი, ფსიქოლოგია. შეიძლება ერთ გაკვეთილში ოცზე მეტი ახალი ტერმინი მიაწოდო მოსწავლეს? ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ცალკეა პედაგოგიკა, ცალკეა სამინისტრო, ცალკეა მასწავლებელი – ეს უნდა იყოს კომპლექსური, ერთად უნდა იყვნენ.

კიდევ ერთი რამ – დაიხურა პედაგოგიური ინსტიტუტები და ყველა „ბუჩქის ძირას“ გაიხსნა აკადემიები და უნივერსიტეტები, რომლებმაც მოამზადეს კადრები. არავის უკითხავს, რას ასწავლიან, ვინ ასწავლის ან რა დონის კურსდამთავრებულები გამოვლენ ამ უმაღლესი სასწავლებლებიდან. საყოველთაო უმუშევრობის დროს, ყველაზე ღია კარი აღმოჩნდა სკოლა და მიაშურეს სკოლას ექიმებმა, ზოოვეტდამთავრებულებმა, სასოფლოდამთავრებულებმა. ცხადია, პროფესიული გადამზადების წინააღმდეგი არავინ შეიძლება იყოს, მაგრამ ამას გარკვეული მიდგომა, ერთიანი ხედვა და გონივრული სტრატეგიის შემუშავება სჭირდება, რაც არ მომხდარა. სულ ახლახან შეიქმნა მასწავლებლის სახლი, რაც ძალიან კარგია. მართალია, ეს დაგვიანებული იყო, მაგრამ კარგი ნაბიჯი გადაიდგა. გვაქვს თუ არა იქ პრობლემები? გვაქვს. მასწავლებელი მიდის ერთი თვით ან თხუთმეტი დღით კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ასეთი მოკლე ვადა საქმეს არ შველის. ამდენი ნოვაცია, ახალი წიგნები და თქვენ გინდათ, რომ მასწავლებელმა თხუთმეტ დღეში ყველაფერი აითვისოს? მასწავლებლის გადამზადება უნდა ხდებოდეს გრძელვადიანი კურსების მეშვეობით, კვალიფიციური სპეციალისტების მიერ და ეს არ უნდა იყოს იმპულსური, არამედ სისტემატური – ორ-სამ წელინადში ერთხელ უნდა ტარდებოდეს. ადრე იყო გადამზადების ინსტიტუტები, რომლებიც გაქრა და შეგვრჩა თხუთმეტდღიანი გადამზადების ფორმალური, შეიძლება ასეც ითქვას, კურსები. ეს საქმეს არ შველის. ამასთან, ამ კურსებზე, ძირითადად, ხელი მიუწვდებათ თბილისში და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებთ. შორეულმა სოფლებმა რა ქნან? იქ ხომ უამრავი მასწავლებელია, განა მათ აქვთ საშუალება, რომ ჩამოვიდნენ და ერთი თვე, თუნდაც თხუთმეტი დღე დაესწრონ კურსებს? სოფელში უამრავი საქმეა და მასწავლებელი ჩვენგან მიტოვებულია. ამგვარად, მოსაფიქრებელი და შესამუშავებელი გვაქვს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტური და მოქნილი სისტემა.

ხედავთ, რამდენი პრობლემაა, მე თქვენ მხოლოდ მცირედი დაგისახელეთ, უამრავი სხვა შეიძლება დავასახელოთ. ჩვენ, ფაქტობრივად, მასწავლებელი გავწირეთ, შევაშინეთ და, ბუნებრივია, რომ შედეგიც ამგვარი გვაქვს. ამაში ყველაა დამნაშავე. გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“ – ჩვენ ყველანი პეტრეს როლში გამოვდივართ, ვამოწმებთ მაშინ, როდესაც მასწავლებელს არ ვუქმნით სათანადო პირობებს. ყველას გვახსოვს განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე, რა პათეტიკურად საუბრობდა მასწავლებელთა კომფორტზე, მაგრამ რეალურად განა შევუქმენით მასწავლებელს კომფორტული პირობები იმისათვის, რომ სასერტიფიკაციო გამოცდებს უმტკივნეულოდ ჩაევლო მათთვის? რა თქმა უნდა, არანაირი კომფორტი მასწავლებლისთვის არ შეგვიქმნია და ვთხოულობთ იმაზე მეტს, რაც მივეცით. ჯერ უნდა დათესო და მოსავალი მერე უნდა აიღო. ჩვენ არაფერი დაგვითესია და გვინდა მოსავალი ავიღოთ. ასე არ ხდება. შედეგიც სახეზეა.

ჩვენ ველოდით, რომ შედეგი არ იქნებოდა კარგი, ვიცოდით, რომ მასწავლებელს უჭირს, სჭირდება მეთოდური სახელმძღვანელოები (ბიოლოგიაში დამხმარე წიგნიც ამიტომ შევქმენით), მაგრამ რა უნდა გააკეთოს ცენტრმა – ჩვენ მხოლოდ ვამოწმებთ ცოდნას. მართალია წიგნის მომზადება ჩვენი საქმე არ არის, მაგრამ პედაგოგთა დასახმარებლად მაინც მოვამზადეთ და გამოვეცით. გარდა ამისა, სისტემატურად ვაწყობთ პედაგოგებთან შეხვედრებს, ინფორმაციას ვაწვდით მათ, ჩვენს ვებგვერდზე აიტვირთა მომზადებული კრებულის ელექტრონული ვერსიებიც. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ეს არ არის მეთოდური დახმარება. ჩვენი მოვალეობაა მასწავლებლებს გავაცნოთ გამოცდების პროცესუალური მხარე და არა მათი მომზადება.

→ 4

გამოცდები – შედეგები, პრობლემები, მიზეზები

მესამე გვერდიდან

მასწავლებელი აბიტურიენტი არ გახლავთ, რომ მოამზადო იმისთვის, რომ გამოცდები კარგად ჩააბაროს. არა, მასწავლებელს თანადგომა და ცოდნის, კვალიფიკაციის ამაღლება ესაჭიროება, რაც სხვა ინსტანციების მოვალეობაა. როდესაც მე სხვადასხვა სპეციალობადამთავრებულები ვახსენე, მათ სჭირდებოდათ კარგი გადამზადება იმ დისციპლინების მიხედვით, რომლებიც ოდესღაც ისწავლეს და დაავიწყდათ ან საერთოდ არ უსწავლიათ, მაგალითად, ევოლუციური მოძღვრება საერთოდ არ ისწავლებოდა არც სამედიცინოში, არც ზოოვეტში და არც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ასევე, რიგი სხვა დისციპლინებისა, რომლის ცოდნა ბიოლოგიის მასწავლებლისთვის აუცილებელია. ისინი უნდა გადამზადებულიყვნენ ამის მიხედვით, რაც არ მოხდა. ისინი პირდაპირ შევუშვით სკოლაში, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ვერ აბარებენ, ტესტში დასმულ ელემენტარულ კითხვებს ვერ სცემენ პასუხებს.

ჩვენ რომ მოსწავლეებს სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურზე ვაწვდით ამოცანებს, ვფიქრობ, ბევრ პედაგოგს გაუჭირდება მათზე პასუხის გაცემა, რომ აღარაფერი ვთქვათ საერთაშორისო ოლიმპიადებზე. მე იმის თქმა არ მინდა, რომ კარგი, პროფესიონალი პედაგოგები არ არიან, ბევრი პროფესიონალი მასწავლებელი გვყავს და სწორედ მათი მოსწავლეები იმარჯვებენ ოლიმპიადებზე, მაგრამ სამწუხაროდ, მათი რიცხვი არცთუ ისე ბევრია.

ახლა, რაც შეეხება აბიტურიენტებს. არის თუ არა ასეთი საგანგაშო შედეგი, რომელიც აბიტურიენტებმა ბიოლოგიის გამოცდაზე აჩვენეს? განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, მაგალითად, 2010 წელს მოსწავლეთა 26.4%-მა კომპენტენციის მინიმალური ზღვარი ვერ გადალახა. არავითარი ხმაური ამას არ მოჰყოლია. რატომ არის წელს საზოგადოება ასე აჟიტირებული? გასულ წელზე ვერაფერს გეტყვით, იმიტომ რომ ჩვენმა ჯგუფმა, მაშინ პროტესტის ნიშნად, დატოვა გამოცდების ეროვნული ცენტრი. ფაქტი ის არის, რომ 5%-ია მხოლოდ ჩაჭრილთა რაოდენობა, ასეთი დაბალი მაჩვენებელი არასდროს ყოფილა. თუ რა მოხდა, დასკვნა მკითხველმა თავად გამოიტანოს. შეიძლება მე გარკვეული ეჭვი მქონდეს, მაგრამ ეს მხოლოდ ეჭვია და არანაირი საფუძველი არ გამაჩნია. მხოლოდ ციფრებს მოვიტან წლების მიხედვით – 2010 წელს – 26.4, 2011 წელს –10.6 და მიმდინარე წელს – 19.4. არის ეს საგანგაშო თუ არა? რა თქმა უნდა, არა. მარტივი მიზეზის გამო – მაგალითად, მე არაფერი არ ვიცი ბიოლოგიაში და შემოსახაზი დავალებები რომ შემოვხაზო ალალბედზე, ქულების 25 პროცენტს მოვაგროვებ. ალბათობის თეორიის მიხედვით, ოთხიდან ერთი პასუხი რომ უნდა შემოხაზო, 25%-ია ალბათობა, რომ სწორ პასუხს გასცემ. ეს რომ გამოირიცხოს აუცილებელია ეროვნული გამოცდებისას მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25%-ზე მეტი იყოს. ტესტების დამუშავებისას ვხედავთ, რომ ზოგჯერ აბიტურიენტი მოუმზადებელია. ხოლო ვინც კარგად მოემზადა, მაღალი შეფასებაც მიიღო და ჩააბარა. ჩემი შეხედულება შეიძლება სუბიექტურია, მაგრამ მიმაჩნია, რომ არ არის სკოლებში ბიოლოგიის სწავლა სათანადო დონეზე, სახელმძღვანელოების გამო. მასწავლებელი შუამავალი რგოლია წიგნსა და მოსწავლეს შორის, რა ქნას მასწავლებელმა, როდესაც წიგნი არ ვარგა, შეცდომებია და მოსწავლე საშინაო დავალებას დამოუკიდებლად ვერ ისწავლის. არსებული სახელმძღვანელო მასზე დამოუკიდებლად მუშაობის საშუალებას არ იძლევა. შეიძლება მე ვცდები, მაგრამ არაერთხელ მისაუბრია გამოცდილ პედაგოგებთან, ჩუმად ისინი ამაზე საუბრობენ, მაგრამ ხმამაღლა თქმას ვერ ბედავენ, რადგან ასე დამკვიდრდა, რომ წიგნი ავტორიტეტია და როგორ შეიძლება, იქ შეცდომა იყოს?! შეცდომა ყველგან ხდება!

შედეგი სახეზე გვაქვს და ამას გამოსწორება უნდა, მაგრამ ერთი პიროვნება, ერთი კონკრეტული პედაგოგი ამას ვერ დაძლევს, საჭიროა სახელმწიფოებრივი მიდგომა, რაც არასდროს არ ყოფილა. წინა მმართველობა პიარზე იყო გადასული, შედეგებს ალამაზებდნენ. რატომ დავტოვეთ ჩვენ გამოცდების ცენტრი? იმიტომ, რომ შედეგების გადაკეთება უნდოდათ. ეს ჩვენთვის მიუღებელი იყო. კი არ უნდა შევალამაზოთ, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ, დღევანდელი რეალობა ასეთია, მე ჩამოგითვალეთ არაერთი მიზეზი, რასაც გამოსწორება უნდა. ამას ვერც ცალკე პიროვნება და ვერც ცალკე სამინისტრო ვერ შეძლებს. კომპლექსურ დაავადებას კომპლექსური მიდგომა სჭირდება. ჩემი აზრი ასეთი გახლავთ, დამეთანხმებით თუ არა, ეს უკვე თქვენი საქმეა.

ესაუბრა
ლალი თვალაგეიშვილი

სადისკუსიო კლუბი

განათლების სისტემა რადიკალურ ცვლილებებს საჭიროებს

მასწავლებელთა გამოცდების, სერტიფიცირების კატასტროფულმა შედეგებმა, შეიძლება ითქვას, შეაშფოთა და დააფიქრა მთელი საზოგადოება. დღის წესრიგში დგება საკითხი, საჭიროებს თუ არა ქვეყნის განათლების სისტემა სერიოზულ, ძირეულ ცვლილებებს? თუ კითხვას საფუძვლიანად გავაანალიზებთ, დამეთანხმებით, რომ ჩვენი განათლების სისტემა აუცილებლად საჭიროებს, და თანაც სწრაფ, რადიკალურ ცვლილებებს, რომელიც აგერ უკვე 22 წელია მიმდინარეობს და დღესაც არ დასრულებულა. ამ წერილში არ ვაპირებთ განათლების სისტემის რეფორმის ვრცელ ანალიზს, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ჩატარებულ რეფორმას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი შედეგები. ასე მაგალითად, კარგად იმუშავა ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ აბიტურიენტთათვის, გაუმჯობესდა სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე დადებით მომენტად უნდა ჩაითვალოს მასწავლებელთა სერტიფიცირება, რომელმაც დაგვანახა ის მდგომარეობა, რაც ამ 22 წლის განმავლობაში ჩვენგან დამოუკიდებლად ყალიბდებოდა.

განათლების რეფორმა უნდა გაგრძელდეს, შევინარჩუნოთ დადებითი მიღწევები და ვეძიოთ ახალი გზები და საშუალებები მისი სრულყოფის და შემდგომი განვითარებისათვის. ამ პროცესში დიდი დახმარება შეიძლება გაგვიწიოს მოწინავე განათლების სისტემის მქონე ქვეყნების, ისეთების როგორებიც არიან: სამხრეთ კორეა, სინგაპური და ფინეთი, გამოცდილების გაანალიზებამ და მორგებამ ქართულ ეროვნულ საგანმანათლებლო რეალობასთან.

ფინეთმა და სინგაპურმა ზემოთ ხსენებული პრობლემებიდან გამოსავალი მონახეს ერის ინტელექტუალური განვითარების გზის არჩევაში. მათ მძიმე ინდუსტრიის განვითარების ნაცვლად, გეზი აიღეს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შენებაზე. საგანმანათლებლო სისტემა ამ ქვეყნებში საზოგადოებრივი და ეროვნული მისიის ნაწილი გახდა. ხოლო სამხრეთ კორეამ, მართალია, განათლების სისტემა სტრუქტურულად განავითარა დასავლური საგანმანათლებლო გამოცდილებით, მაგრამ შეინარჩუნა ეროვნული ღირებულებანი და ისინი ორიგინალურად მიუსადაგა თანამედროვე მსოფლიოს საბაზრო ეკონომიკურ-პოლიტიკურ რეალობას.

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა მოითხოვს ქვეყნის ინტელექტუალურ მოდერნიზაციას, რაც დაკავშირებულია მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებასთან და მაღალკვალიფიციური კადრების ბაზრის შექმნასთან უცხოური ინვესტორების მოზიდვის მიზნით და ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარებასთან. ეს ჩვენთვის არ უნდა ყოფილიყო რთული მისაღწევი, რადგან ყოფილ საბჭოთა სივრცეში საქართველო, თავისი ინტელექტუალური ღირებულებებით, ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე იმყოფებოდა. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, არასწორმა სახელმწიფო მიდგომამ განათლების სისტემის შემდგომ განვითარებაზე (უფრო სწორი იქნება ვთაქვათ, რომ 2003 წლამდე განათლების სისტემა ჩვენს ქვეყანაში თვითდინებით მიედინებოდა) არსებული ინდუსტრიის დაახლოებით 90%-ის შეჩერებამ გამოიწვია ის, რომ ამ 22 წლის განმავლობაში ახალი კადრები, განსაკუთრებით, ტექნიკური დარგის მიმართულებით, ვეღარ მოვამზადეთ. მოხდა მაღალკვალიფიციური კადრების ქვეყნიდან გადინება სამუშაოს საძებნად. ხოლო ისინი ვინც შემოგვრჩა (თითქმის ყველა), საპენსიო ასაკისაა, აღარ მოხდა თაობათა ცვლა. სინგაპურისგან განსხვავებით, სასტარტო პირობები ჩვენ უკეთესი გვქონდა იმ მომენტისათვის, როდესაც დამოუკიდებლობა მივიღეთ.

ისმის კითხვა – რა არის ის ძირითადი, რის გამოც ვერ მოვახერხეთ წარმატებული განათლების სისტემის ჩამოყალიბება?

მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ განათლების სისტემა ეფუძნება ქვეყნის იდეოლოგიას, პოლიტიკასა და აქედან გამომდინარე ეკონომიკას. ჩვენი განათლების სისტემის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ახალი განათლების სისტემის შენება დავიწყეთ იდეოლოგიური საფუძვლის გარეშე. ეს იგივეა, რაც სახლის მშენებლობა საძირკვლის გარეშე. ჩვენ ვერ შევძელით საზოგადოებაში, ე.წ. საბაზრო ეკონომიკური რეალობისადმი შესაბამისი ცნობიერების ჩამოყალიბება. ე.ი. არა გვაქვს სრულყოფილი, კონკრეტულად გააზრებული და დღევანდელ გეოპოლიტიკურ რეალობასთან შეჯერებული სახელმწიფოებრივი იდეოლოგია, რომელზეც უნდა აგვეშენებინა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, შესაბამისი ეკონომიკით. ანალოგიური პრობლების წინაშე იდგა მსოფლიოს განათლების მოწინავე სისტემის ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა სინგაპური და ნაწილობრივ ფინეთი. ეს პრობლემა ფინეთმა, სინგაპურმა (განსაკუთრებით რთული გადასაჭრელი იყო სინგაპურისათვის) წარმატებით გადაჭრეს. ასე მაგალითად, სინგაპურისათვის ერის კონსოლიდაცია, პოლიტიკური განვითარება და ეკონომიკური წარმატება განაპირობა დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ჩამოყალიბებულმა ახალმა საზოგადოებრივმა ცნობიერებამ, რომელიც დაკავშირებულია სინგაპურის მოქალაქეების ახალ სოციალურ მდგომარეობასთან, რაც, თავის მხრივ, განაპირობა ეროვნული ინტერესების განსაზღვრამ, რომლის ქვაკუთხედად იქცა ერთიანი სახელმწიფოებრივი წარმოდგენა, თუ რას ნიშნავს იყო სინგაპურის მოქალაქე.

სინგაპურის მოქალაქეობა ნიშნავდა ცალკეული პიროვნებების ინტერესების თანხვდომას საერთო ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებთან (მოგეხსენებათ, სინგაპური მრავალეროვანი სახელმწიფოა). იმდენად, რამდენადაც ჩვენი ქვეყანაც მრავალეროვანია, კარგი იქნებოდა სინგაპურის მსგავსად, ერის კონსოლიდაციისათვის, კონკრეტულად ჩამოგვეყალიბებინა „რას ნიშნავს იყო საქართველოს მოქალაქე“, სადაც გათვალისწინებული იქნება ჩვენი ქვეყნის ისტორია, კულტურა და საზოგადოებრივი ცნობიერება, რომელიც მისაღები და წმინდათაწმინდა იქნებოდა ქვეყნის სახელმწიფოებრივი შენებისა და განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, დღევანდელი მთავრობის სურვილი განათლების სისტემაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რაც ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც. მეტი ავტონომიურობა და თავისუფლება მიეცათ სკოლებს, მცირედ, მაგრამ მაინც გაიზარდა მასწავლებელთა ანაზღაურება. მოსწავლეებმა უფასოდ მიიღეს სახელმძღვანელოები. ასევე მისასალმებელია სახელმწიფოს სურვილი უფრო ფართო ჯგუფებთან განათლების შესახებ კონსულტაციები. 2013-წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი, დაახლოებით, 60 მილიონი ლარით გაიზარდა. შეიქმნა განათლების რეფორმების დამოუკიდებელი რეფორმის კომისია, რომელიც მუშაობს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, ასევე უმაღლესი სკოლის ახალ კონცეფციაზე. წინასწარ ვერ გეტყვით, თუ რა სახის ცვლილებებს შემოგვთავაზებენ ეს კომისიები საბოლოოდ, მაგრამ მანამდე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, ფართო საზოგადოებისათვის გაგვეზიარებინა ჩვენი ხედვა განათლების სისტემაში გასატარებელი აუცილებელი ცვლილებების შესახებ, რომლებიც შემდეგნაირად დავაკონკრეტეთ:

ა) კარგი იქნება, თუ საქართველოს მთავრობა ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად აირჩევს ქვეყნის ინტელექტუალურ მოდერნიზაციას, რომ სასწავლო პროცესში განხორციელდეს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების შერწყმა. ამის კარგი გამოცდილება შეიძლება ვისესხოთ ფინეთისა და სინგაპურისაგან.

ბ) ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი უპირველესი პირობაა შეიცვალოს მასწავლებლისადმი სახელმწიფოსა და საზოგადოების დამოკიდებულება. მასწავლებლის პროფესია უნდა გახდეს პრივილეგირებული პროფესია, მასწავლებლის ანაზღაურება უნდა გაიზარდოს და მიუახლოვდეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების მასწავლებლების ხელფასის დონეს. უნდა შეიცვალოს მასწავლებელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების არსებული სისტემა. დღეისათვის მასწავლებელთა მომზადების 60-კრედიტიანი მოსამზადებელი პროგრამა არასაკმარისია მაღალკვალიფიციური პედაგოგების მომზადებისათვის. უნდა შეიცვალოს მასწავლებელთა მოსამზადებელი პროგრამები და სასწავლო გეგმები. გაიზარდოს პედაგოგიური პრაქტიკის როლი. იგი უნდა შევიდეს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვაში. თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად, ძირეულად შეიცვალოს პედაგოგიური პრაქტიკის სტრუქტურა, შინაარსი და პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების მეთოდიკა;

გ) უნდა შეიქმნას პედაგოგიური პროფილის ინსტიტუტები და უნივერსიტეტები, რომლებიც ორიენტირებული იქნებიან მხოლოდ მასწავლებელთა მომზადებაზე ან, პირველ ეტაპზე, პედაგოგიური ფაკულტეტები.

შესაბამისად, უნდა შეიცვალოს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პროგრამები. ამ პროგრამებში უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პედაგოგიური კუთხით მომზადებას.

მასწავლებელთა მომზადება უნდა დავიწყოთ სკოლის მერხიდან. იმის თქმა მინდა, რომ მომავალი მასწავლებლის შერჩევა, პროფესიული სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელი პიროვნული თვისებების გათვალისწინებით უნდა დავიწყოთ სკოლის ასაკიდან და გავაგრძელოთ რამდენიმე ეტაპად. ამის დადებითი მაგალითები მსოფლიოში მრავლად მოგვეპოვება. განსაკუთრებით კარგად ხორციელდება იგი კორეაში, ფინეთსა და სინგაპურში.

სინგაპურში, სანამ პედაგოგის პროფესიის დაუფლების მსურველი წარადგენს უმაღლეს სასწავლებელში განცხადებას პედაგოგიურ სპეციალობაზე ჩასაბარებლად, მანამდე, მინიმუმ, 5 კვირა სკოლაში უნდა გაატაროს, რათა გაეცნოს სკოლის ფუნქციებისა და პედაგოგიური მუშაობის სპეციფიკას. ამ პერიოდში გვევლინება მასწავლებელთა თანაშემწედ, ან ადმინისტრატორის თანაშემწედ ამ პრაქტიკისათვის სახელმწიფო თავად უხდის გარკვეულ ანაზღაურებას. პრაქტიკის დასრულების შემდეგ, აბიტურიენტს, სკოლის დირექტორი აძლევს დახასიათებას შესაბამისი შეფასებით. დადებითი შეფასების შემდეგ, მომავალი მასწავლებელი გადის შერჩევის პირველ ეტაპს, სადაც უნდა დააკმაყოფილოს მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს მათი აკადემიური ჯგუფისათვის შესაფერისი რეიტინგის საშუალო შეფასებაზე მეტ შეფასების დონეს და

საღისკუსიო კლუბი

რაც მთავარია, მას უნდა ჰქონდეს მისწრაფება და სურვილი ბავშვებთან, მოსწავლეებთან მუშაობისა, უნდა მოსწონდეს და იცოდეს მასწავლებლის პროფესია, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოწოდებული იყოს პედაგოგობისათვის.

მეორე ეტაპზე, პედაგოგობის კანდიდატი გადის ფუნქციონალურ ტესტებს და ცოდნის შემოწმებას სპეციალური საგნობრივი ტესტებით ცალკეულ მაპროფილებელ საგნებში.

მესამე ეტაპი ეთმობა ე.წ. „ინტერვიუს“. სამი გამოცდილი ექსპერტისაგან შემდგარი ჯგუფი ამოწმებს პედაგოგობის კანდიდატს პიროვნული მონაცემების ფუნქციონალური კუთხით, ეს ეტაპი ასევე მოიცავს პრაქტიკულ ტესტებს, მასწავლებლისათვის დამახასიათებელი აქტივობების შემოწმებას.

მეოთხე ეტაპი გულისხმობს ნაციონალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლას, სადაც მომავალი პედაგოგების სწავლისა და მომზადების პროცესი მკაცრად კონტროლდება. მასწავლებლობის კანდიდატი სტუდენტი, რომელიც თავისი მომზადების დონით არ შეესაბამება მოცემულ სტანდარტებს, პირველი სემესტრის შემდეგ ვეღარ აგრძელებს აღნიშნულ პროგრამაზე სწავლას. მას ეძლევა უფლება შეიცვალოს პროფესია და გადავიდეს სხვა პროგრამაზე. აღსანიშნავია, რომ ყველა ეტაპს, საშუალოდ, ექვსი კანდიდატიდან მხოლოდ ერთი გადის.

რაც შეეხება ფინეთს, აქ მასწავლებლად მუშაობისთვის აუცილებელია მაგისტრის ხარისხი. მასწავლებელთა სატრენინგო პროგრამები ქვეყნის ყველა რეგიონში ფუნქციონირებს უმაღლეს სასწავლებლებთან შექმნილ სპეციალურ განყოფილებებზე. ამ ტრენინგების გავლის შემდეგ, 10 კანდიდატიდან მხოლოდ ერთი ახერხებს ჩარიცხვას მასწავლებელთა მოსამზადებელ პროგრამაზე, სადაც სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და ტესტირებებს გადის ყველა ტიპის (შეზღუდული შესაძლებლობების, ენობრივი ბარიერის მქონე და სხვა ტიპის ფიზიკური შეზღუდვების მქონე) მოსწავლეებთან პედაგოგიური მუშაობისათვის. ასევე, გადის ტრენინგებს ცალკეული საგნების სწავლებასთან დაკავშირებით, საკუთარი სასწავლო გეგმის შემუშავების პრაქტიკას და სხვ.

რაც შეეხება კორეას, აქ მთელი დატვირთვით მუშაობს ძველი ეროვნული ტრადიციები საზოგადოებრივ ცხოვრების წესში, და მათ შორის სწავლის საკითხში. კორეაში არსებობს გამოთქმა „შენი მასწავლებლის ჩრდილსაც კი არ უნდა დააბიჯო“. ამ გამონათქვამიდან გამომდინარე, ნათელია, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობს მასწავლებლის პროფესია კორეაში და როგორ სცემენ მასწავლებელს პატივს.

კორეაში, სინგაპურისა და ფინეთისაგან განსხვავებით, სასწავლო პროცესში სხვა მეთოდიკა მუშაობს. კორეელი ბავშვები თამაშობენ გაცილებით ნაკლებს, ვიდრე მათი ევროპელი თანატოლები, ისინი ძალიან ადრე იწყებენ ზრდასრული ადამიანის წესებით ცხოვრებას. ეს გამოწვეულია კორეის საზოგადოების სოციალური სისტემის მაღალი მობილობით. მათ მტკიცედ სწამთ, რომ გადარჩენის და მაღალი საზოგადოებისაკენ მხოლოდ ერთი გზა არსებობს, მაღალხარისხიანი სწავლა.

კორეის სასწავლო სისტემაში დღესაც შემორჩენილია მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა დისციპლინის დარღვევისათვის. კორეელ მასწავლებლებს კლასის მართვაში მინიმალური პრობლემები აქვთ. იქ მოსწავლეებს დაწყებითი კლასებიდან უვითარებენ განსაკუთრებულ მოწიწებასა და პატივისცემას შრომისადმი. კორეაში მასწავლებელთა მომზადება მაღალ დონეზე დგას. უმაღლეს სკოლაში მოსაწყობად ისინი აბარებენ საკმაოდ რთულ გამოცდებს. მაღალკვალიფიციური უმაღლესი განათლების გარეშე ადამიანს არანაირი შანსი არ აქვს მიიღოს სამუშაო. აქედან გამომდინარე, უმაღლეს სკოლაში და მათ შორის პედაგოგიურ უნივერსიტეტებში, განსაკუთრებით მაღალია სწავლის დონე, რადგან იციან, რომ მასწავლებლობა კორეაში ყველაზე პრესტიჟული პროფესიაა. სამუშაოს მიღების შანსი კვალიფიკაციის ხარისხის პირდაპირპროპორციულია.

ასეთი ექსკურსის შემდეგ, ჩნდება კითხვა – რომელ გამოცდილებას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა მასწავლებელთა მომზადების საქმეში, რომელი უფრო გამოსადეგი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის? ვფიქრობ, პირდაპირი კოპირება არც ერთი გამოცდილებისა არ ივარგებს, რადგან ისინი გამომდინარეობს კონკრეტული ქვეყნის თავისებურებებიდან. თუმცა, მიმაჩნია, რომ უფრო მისაღები სინგაპურისა და ფინეთის გამოცდილება და მათი ნაზავის მისადაგება იქნება ქართულ რეალობასთან.

რაც შეეხება მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, მაგალითად, ფინეთში მასწავლებელთა მომზადება არ მთავრდება კვალიფიკაციის მინიჭებით. იქ მასწავლებელი დამატებით ანაზღაურებას იღებს კვალიფიკაციის ასამაღლებლად, კვირაში მინიმუმ 2 საათს ანდომებს კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ მიზნით, ყველა რეგიონში არსებობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრები.

სინგაპურში ყველა მასწავლებელს მთლიანად უნაზღაურდება წელიწადში კვალიფიკაციის ამაღლებისათვის 100 საათის დატვირთვა ნაციონალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში. მასწავლებელთა ხელფასები საკმაოდ აღემატება საშუალოს, კვალიფიკაციის ამაღლების აქტივობების მიხედვით. ასე მაგალითად, მასწავლებელი, რომელიც დიდ დროს ატარებს სკოლაში, მოსწავლეებთან, ნაკლებ ანაზღაურებას იღებს იმ მასწავლებელთან შედარებით, რომელიც სისტემატურად იმაღლებს კვალიფიკაციას.

ანალოგიურად, მატერიალურად წახალისებულია მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება კორეაში.

რაც შეეხება ჩვენთან მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ის მკვეთრად განსხვავდება იმ მოდელისაგან, რომელიც იყო საბჭოთა პერიოდში.

თავისთავად მასწავლებელთა ტესტირება დადებითი მოვლენაა, მაგრამ ტესტირების წინა პერიოდი ანუ ტრენინგების სისტემა, მოცულობა და მეთოდიკა არ შეესაბამება, ტესტირების მოთხოვნებს. ერთი ან ორკვირიანი ტრენინგი საკმარისი არ არის მასწავლებელთა გადამზადებისათვის. დღეისათვის სკოლაში მომუშავე პედაგოგთა უმრავლესობა კარგად არ იცნობს იმ პედაგოგ კლასიკოსებს და ფსიქოლოგებს, რომელთა თეორიების ცოდნა ევალებათ მასწავლებელთა ტესტირებით. ფაქტობრივად, დამოუკიდებლად უწევთ მუშაობა ამ ახალი მასალის შესწავლისთვის. თავად ტესტირება დღეისათვის მსოფლიოში აპრობირებული საგამოცდო მეთოდია, მაგრამ, ჩვენი აზრით, მასწავლებელთა სერტიფიცირება მარტო ტესტირებებით შეფასების არასრული მეთოდია. აუცილებელია სერტიფიცირების დროს გათვალისწინებულ იქნეს მასწავლებლის პრაქტიკული საქმიანობა. მასწავლებლის პროფესია ისეთ პროფესიათა რიცხვს განეკუთვნება, სადაც კვალიფიკაციის შეფასებაში ძირითადი ყურადღება ზეპირ პრეზენტაციას უნდა მიეცეს.

მასწავლებელთა კვალიფიკაციაში აუცილებელია ძირეული და რადიკალური ცვლილებები, რაც გამოიხატება შემდეგში:

ა) უნდა აღვადგინოთ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, რომელსაც ფილიალები ექნება რეგიონებში, ან, პირველ ეტაპზე, არსებულ უნივერსიტეტებთან გაიხსნას მასწავლებელთა მოსამზადებელი განყოფილებები, რომლის პროგრამად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვერ გამოგვადგება მასწავლებელთა მომზადების არსებული 60-კრედიტიანი პროგრამა. მათთვის უნდა შეიქმნას სხვა სახის პროგრამები.

ბ) სახელმწიფომ აუცილებლად უნდა დააფინანსოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

გ) მასწავლებლთა კვალიფიკაციის ამაღლება უნდა ითვალისწინებდეს პედაგოგის მიერ საცდელი საკვალიფიკაციო გაკვეთილების ჩატარებას თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით.

პაატა ქურდაძე
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი პროფესორი

ინფორმაცია

მიეძღვნა მასწავლებლის საერთაშორისო დღეს

5 ოქტომბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, საზეიმო მიღება გაიმართა. ღონისძიებას დედაქალაქიდან და რეგიონებიდან მოწვეული 100-მდე მასწავლებელი, მათი ტრენერები და ჟურნალ „მასწავლებელის“ ავტორი პედაგოგები ესწრებოდნენ.

„საქართველოს ყველა მასწავლებელს ვულოცავ მასწავლებლის დღეს, ვუსურვებ წარმატებას და წინსვლას.

მასწავლებლობა ერთ-ერთი ყველაზე საპატიო, საპასუხისმგებლო და ღირსეული პროფესიაა. მას მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენ ერთად უნდა ვიზრუნოთ, რომ მასწავლებლის პროფესია დაფასდეს, ჩვენმა მოსწავლეებმა კი საუკეთესო შედეგებს მიაღწიონ.

გვჯერა, რომ სახელმწიფოს წარმატება თუ წარუმატებლობა განათლების ხარისხზეა დამოკიდებული. ქვეყნის მომავალი საკლასო ოთახიდან იწყება, ამიტომ მასწავლებლის როლი განუზომლად დიდია. ჩვენ ერთად უნდა დავძლიოთ პრობლემები და ვეცადოთ, მომავალი უკეთესი გვქონდეს. ჩვენ ამას შევძლებთ“ – ამ სიტყვებით მიულოცა პროფესიული დღესასწაული განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** მასწავლებლის სახლში შეკრებილ სტუმრებს და საქართველოს ყველა მასწავლებელს.

მასწავლებლის დღე მიულოცა პედაგოგებს სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა **გია მამულაშვილმა**.

საზეიმო მიღების ფარგლებში, მხატვარ **ნინო ჩაკვეტაძის** ნამუშევრების გამოფენაც გაიმართა.

სასერტიფიკაციო გამოცდა

გეოგრაფიის პედაგოგთა დასახმარებლად

მაია გლიაძე
გეოგრაფიის
მეცნიერებათა დოქტორი

რუკის მნიშვნელობა გეოგრაფიის სწავლებისას



კარტოგრაფია მეცნიერებაა ობიექტური სინამდვილის საგნებისა და მოვლენების კონკრეტული სივრცის და მისი დროის მიხედვით ცვალებადობის შესახებ. ეს კონკრეტული სივრცე, როგორც სინამდვილის საგნებისა და მოვლენების ურთიერთგანლაგების წესრიგი, სამგანზომილებიანი, დროში ცვალებადი კონტინუუმია.

კარტოგრაფია სპეციფიკურ ხელოვნურ ნიშნობრივ სისტემას – „რუკის ენას“ და სპეციფიკურ მეთოდს – კარტოგრაფიულ მოდელირებას იყენებს. კარტოგრაფიული შემეცნების შედეგს საკვლევი სინამდვილის კარტოგრაფიული მოდელი წარმოადგენს, რასაც მეცნიერებაში და საზოგადოებრივ პრაქტიკაში რუკა ეწოდება.

მთელი სინამდვილის შესაბამისად, კარტოგრაფია და რუკები ორ დედამიწისეულ და კოსმოსურ ჯგუფად იყოფა. პირველში გეოგრაფიული კარტოგრაფია და გეოგრაფიული რუკები, ხოლო მეორეში – ასტრონომიული კარტოგრაფია და ასტრონომიული რუკები შედის. რეალური სინამდვილის კონკრეტულ სივრცეს აქვს გარკვეული სტრუქტურა. მისი ელემენტებია ათვლის სივრცითი სისტემა და მის მიმართ ურთიერთგანლაგების დროში ცვალებად წესრიგში მყოფი საგნები და მოვლენები.

შესაბამისი სტრუქტურა აქვს იმავე სინამდვილის კარტოგრაფიულ გამოსახულებასაც (რუკას). გეოგრაფიული კარტოგრაფიისთვის ათვლის სივრცით სისტემად მიჩნეულია დედამიწის საკოორდინატო ბადე – გრადუსთა ბადე, რომლის გამოხატულება სიბრტყეზე – კარტოგრაფიული ბადე – გეოგრაფიული რუკის მათემატიკურ საფუძველს წარმოადგენს და გარკვეული კარტოგრაფიული პროექციის დახმარებით მიიღება.

გეოგრაფიული სინამდვილის საგნების (მაგ., ოკეანეები და ხმელეთი, მდინარეთა ქსელი, რელიეფი, დასახლებული ადგილები და სხვ.), მოვლენების (მაგ., ატმოსფეროში მიმდინარე პროცესები, ზედაპირული ჩამონადენი, და სხვ.), მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის, განათლებისა და ა.შ. გამოსახულებებს კარტოგრაფიული ბადის მიმართ ზუსტად ისეთივე განლაგება აქვს რუკაზე, როგორც სინამდვილეში. ეს არის სინამდვილის კარტოგრაფიული მოდელის უნიკალური თავისებურება, რაც მას დიდ მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს.

გეოგრაფიული კარტოგრაფიისთვის მნიშვნელობა აქვს გეოდეზიის მონაცემებს დედამიწის ფორმისა და ზომების შესახებ, საყრდენი წერტილების კოორდინატებსა და აეროფოტოტოპოგრაფიული გადაღების მასალას, რომელთა საფუძველზე მიიღება დედამიწის ყველა რუკის პირველწყარო – ტოპოგრაფიული რუკა. ამ თვალსაზრისით კარტოგრაფია ტექნიკურ მეცნიერულ ციკლში შედის, ხოლო სინამდვილის გარკვეული მხარის კარტოგრაფიული მეთოდით გამოკვლევის პროცესში იგი საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებებს უკავშირდება, რომლებსაც თავისი შემეცნების საგნის შინაარსის გარდა, საგნის სივრცითი თავისებურებებიც აინტერესებს. ამ კავშირის საფუძველზე იქმნება სპეციალური სამეცნიერო კარტოგრაფიული დისციპლინები (მაგ., გეოლოგიური კარტოგრაფია, გეომორფოლოგიური კარტოგრაფია, ეკონომიკური კარტოგრაფია) და მათი განმაზოგადებელი დისციპლინა – თემატიკური კარტოგრაფია.

გეოგრაფიული რუკა დედამიწის ზედაპირის ან მისი ნაწილის შემცირებული და განზოგადებული გამოსახულებაა სიბრტყეზე. რუკაზე გეოგრაფიული ობიექტების შემცირების ხარისხს გვიჩვენებს მასშტაბი. რუკების უმრავლესობას არა ერთი საერთო მახასიათებელი აქვს – ყოველ რუკაზე წარმოდგენილი მასშტაბი, გრადუსთა ბადე, პირობითი ნიშნები და გეოგრაფიული ობიექტების ნაწილი.

ადამიანი რუკებს უძველესი დროიდან ქმნიდა და მათი დახმარებით შესაძლებლობა ეძლეოდა თვალსაჩინოდ წარმოედგინა გეოგრაფიული ობიექტების ურთიერთგანლაგება.

ამჟამად ქაღალდის რუკების გარდა არსებობს ელექტრონული რუკები – რუკები, რომელიც გამოსახულია კომპიუტერის ეკრანზე. ამგვარი რუკების მეშვეობით მანძილების და სხვა კარტოგრაფიული გაზომვების ჩატარება ბევრად ადვილი, სწრაფი და ზუსტია. მასზე მხოლოდ ხაზის გატარებაა საჭირო ნებისმიერ ორ პუნქტს შორის, მონაცემებს კი სპეციალური პროგრამა მყისიერად დაითვლის. ერთ-ერთი ამგვარი კომპიუტერული პროგრამაა Google Earth.

რუკის მნიშვნელობა სასწავლო პროცესში

სასწავლო პროცესში რუკა მრავალმხრივ საგანმანათლებლო ფუნქციას ასრულებს.

1. გეოგრაფიის სწავლებისას რუკა ძირითადი და ყველაზე მნიშვნელოვანი თვალსაჩინოებაა. მისი საშუალებით შესაძლებელია სწრაფად მიმოვიხილოთ დედამიწის ზედაპირის უკიდეგანო სივრცეები და საერთოდაც მთლიანად დედამიწა. ამ ფაქტის განსაკუთრებული მნიშვნელობა უფრო გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორ და ღია ადგილასაც კი წარმოქმნილ ჰორიზონტს მხოლოდ 5 კმ-ის რადიუსი აქვს, რაც დედამიწის ზედაპირის დაახლოებით 1/7 მემილიონედ ნაწილს შეადგენს. თვალმიუწვდომელი სივრცის უშუალო მხედველობითი გამოსახულება, რომელიც რუკის საშუალებით იქმნება, გვეხმარება მასზე წარმოდგენის ფორმირებაში. სავსებით უიმედო და უშედეგო საქმე იქნებოდა შეგვექმნა მოსწავლეებისათვის სწორი წარმოდგენა კავკასიის, დიდი ბრიტანეთის, სამხრეთ ამერიკის თუ სხვა გეოგრაფიული ობიექტის, ასევე მათთვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნების შესახებ, როგორიცაა სანაპირო ხაზი, რელიეფი, კლიმატი, ჰიფროგრაფიული ქსელი, მცენარეული საფარი და ა.შ., თუ მოსწავლეები ვერ ხედავენ აღსაწერ და შესასწავლ ტერიტორიას ან ობიექტს ყველაზე უხეშ სქემატურ რუკაზეც კი.

2. რუკის მთავარი ფუნქციაა დედამიწის ზედაპირზე გეოგრაფიული ობიექტების განლაგებისა და მდებარეობის შესახებ ცნობების ასახვა. სწორედ ამ კუთხით ის შემეცნების შეუცვლელი საშუალებაა, რამეთუ არც ერთი სხვა საშუალება – არც სიტყვა, არც სურათი და თვით ადგილმდებარეობასთან „პირადი ნაცნობობაც“ კი არ იძლევა ნათელ, მკაფიო და ზუსტ განსაზღვრებას სივრცეში ობიექტების განლაგების, მიმართულებების, კონფიგურაციისა და მოხაზულობის შესახებ. ასეთი ცოდნა კი აუცილებელია ადამიანისათვის, იმის მიუხედავად, სამეურნეო საქმიანობის რომელ სფეროში მოღვაწეობს იგი. სწორედ ამიტომაც, აქვს რუკას დიდი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი დიდ როლს ასრულებს გეოგრაფიაში: იგი ნებისმიერი სახის გეოგრაფიული კვლევის საწყისი პუნქტია, ასევე მუშაობის პროცესში ყველა ეტაპის თანმხლებია და, ამავე დროს, კვლევის ერთ-ერთი შედეგიცაა. ამიტომაც მას სავსებით სამართლიანად გეოგრაფიის „ალფას და ომეგას“ ვუწოდებთ. როგორ გამოიყენება რუკის ეს ძირითადი ფუნქცია სკოლაში? რუკის უკვე მარტივი მხედველობითი აღქმაც კი გარკვეულ წარმოდგენას უქმნის მოსწავლეებს ობიექტების განლაგების შესახებ. რუკაზე ვიზუალურად ანუ თვალით შეიძლება შევაფასოთ გეოგრაფიული ობიექტების ფორმები, დავადგინოთ მათი ურთიერთმიმართება, განლაგება და ფართობები, ასევე მათ შორის მანძილები. გეოგრაფიის მასწავლებლები ხშირად იყენებენ რუკას ამ მიზნით. მაგალითად, მოსწავლეებს სთხოვენ რუკის გამოყენებით უპასუხონ მარტივ კითხვებს გეოგრაფიული ობიექტების მდებარეობის, მათი შეფარდებითი ზომების, მათ შორის მანძილების და სხვ. შესახებ. ასეთი ტიპის სავარჯიშოები კი მოსწავლეებს ისეთ უნარ-ჩვევას უვითარებს, როგორიცაა სივრცეში ორიენტირება.

3. რუკა, სიმბოლოების ენის საშუალებით, ასახავს გეოგრაფიული ობიექტების არა მხოლოდ განლაგებას, არამედ ახასიათებს კიდეც მასზე გამოსახულ ობიექტებს. ამასთან ასახავს, არა მხოლოდ მათ არსებულ მდგომარეობას, არამედ გამოსახავს მათ მოძრაობას, განვითარებას და ცვლილებებსაც კი. ასეთია მაგალითად, ისტორიული, ზოგიერთი ეკონომიკური და სხვა თემატური რუკები. ამ სახის რუკების გამოყენებით შესაძლებელია, არა მარტო გეოგრაფიული ობიექტების შედარება, არამედ ასევე, მათ შორის სივრცობრივი კავშირებისა და ურთიერთზემოქმედების დადგენაც. შედეგად მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება იმსჯელონ და გამოიტანონ დასკვნები გეოგრაფიული ობიექტების იმ თვისებების შესახებ, რომლებიც რუკებზე უშუალოდ არ არის ასახული. მაგალითად, რუკაზე რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის მდებარეობის დადგენისას მოსწავლეს შეუძლია საკმარისად საფუძვლიანად დაახასიათოს მისი კლიმატი, მცენარეულობა. ამ და რუკაზე მოცემული მონაცემების (რელიეფი, ჰიდროგრაფიული ქსელი) შეჯერების საფუძველზე კი დაახასიათოს მდინარეთა წყლის რეჟიმი, ნიადაგები და, ასევე, გამოთქვას ვარაუდი მოცემულ ბუნებრივ პირობებში ადამიანის სავარაუდო სამეურნეო საქმიანობის შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განხილული მაგალითიდან არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ რუკა თავად საუბრობს ობიექტის ყველა თვისებაზე. რუკა თავის მდიდარ შინაარსს მხოლოდ მას უმხელს, ვისაც აქვს როგორც კარტოგრაფიული, ისე გეოგრაფიული ცოდნა და შეუძლია მისი გამოყენება ანუ რუკის კითხვა. თვითონ რუკა, მისი სწორად წაკითხვისას, წარმოადგენს ცოდნის არა მარტო მდიდარ და მრავალფეროვან წყაროს, არამედ მოსწავლეთა გონებრივი განვითარების სტიმულატორსაც. რუკის კითხვა მოსწავლეებს ისეთ უნარებს უყალიბებს, როგორიცაა ლოგიკური, დიალექტიკური აზროვნება. ობიექტებისა და მოვლენების ფართო სპექტრით და მოცულობით აღქმა, ანუ დიდი კატეგორიებით აზროვნება ავითარებს მრავალმხრივ და „ცოცხალ“ წარმოდგენებს რუკაზე გამოსახული ობიექტების შესახებ; დაბოლოს, რუკა გეოგრაფიის შეგნებულად და მყარად მიღებული ცოდნის კარგი საფუძველია.

4. რუკა, გეოგრაფიის სწავლების პროცესში ფსიქო-პედაგოგიურ როლს ასრულებს. იგი ხელს უწყობს ცოდნის სისტემატიზაციას, აიოლებს ცოდნის მიღებას და ინფორმაციის დამახსოვრებას. რუკის ეს როლი შენარჩუნებულია არა მხოლოდ სკოლაში, არამედ მაშინაც, როცა მოზრდილი ადამიანი თავის გეოგრაფიულ ცოდნას ივსებს წიგნებიდადან, ჟურნალ-გაზეთების, ინტერნეტიდან თუ სხვა წყაროებიდან. რუკის კარგად ცოდნისას ადამიანის გეოგრაფიული ცოდნის მარაგიც მუდმივად ივსება, იზრდება, ფართოვდება და იგი წინარე გეოგრაფიულ ცოდნას ეფუძნება. სწორედ ამიტომ არის მეტად მნიშვნელოვანი, რომ სკოლაში მოსწავლეებს ვასწავლოთ რუკაზე გეოგრაფიული ნომენკლატურის გარკვეული რაოდენობა მაინც. ამ მიზნით, სასურველია, მასწავლებელმა ხშირად გამოიყენის სწავლების ისეთი ხერხები, რომლებიც ხელს უწყობს კარტოგრაფიული ნახატის დამახსოვრებას. მაგალითად, ასეთია რუკის ან კარტოგრაფიული სქემის დახაზვა, კონტურულ და მენტალურ რუკებზე მუშაობა და სხვ. ასეთი სავარჯიშოები ხელს უწყობს მოსწავლეებში მეხსიერების, წარმოსახვის, ლოგიკური აზროვნებისა და მეტყველების უნარების განვითარებას, ასევე ანალიზის, შედარების, მსჯელობის და დასკვნების გამოტანის უნარების ჩამოყალიბებას.

რუკა სწავლების აქტივიზაციის პროცესში ყველაზე ხელმისაწვდომ და მოქმედ საშუალებას წარმოადგენს, რადგან იგი ხელს უწყობს მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, ასევე უღვიძებს მათ ინტერესს ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტისა და მოვლენის მიმართ და, რაც მთავარია, ერთმანეთთან აკავშირებს სასკოლო გეოგრაფიასა და პრაქტიკულ საქმიანობას. მაგალითად, რუკების გამოყენებით გეოგრაფიის გაკვეთილებზე შესაძლებელია ჩატარდეს, შინაარსისა და ფორმის მიხედვით, მრავალფეროვანი ფრონტალური თუ ინდივიდუალური პრაქტიკული სამუშაოები, ამოიხსნას სხვადასხვა გეოგრაფიული ამოცანები.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ რუკას უდიდესი როლი აკისრია გეოგრაფიის სწავლების პროცესში. მისი მნიშვნელობის შეფასება რთულია. ფრთიანი გამონათქვამი „რუკის გარეშე არ არსებობს გეოგრაფია“, მართლაც და ღრმა აზრის მატარებელია, რადგან როგორც გეოგრაფიულ მეცნიერებას არ შეუძლია რუკის გარეშე არსებობა, ისე გეოგრაფიის სწავლაც შეუძლებელია მის გარეშე.

რუკის კითხვა

გეოგრაფიის სწავლებისას რუკაზე მუშაობის მთავარი მიზანია, ვასწავლოთ მოსწავლეებს რუკის გაგება, კითხვა და გამოყენება. შევეცდები ავხსნა, რას ნიშნავს ეს ტერმინები.

რუკის გაგება ნიშნავს, რომ მოსწავლეს აქვს კარტოგრაფიული ცოდნა: იცის რა არის რუკა, როგორია მისი თვისებები, შინაარსი, მნიშვნელობა, რას აღნიშნავს თითოეული პირობითი ნიშანი მასზე, როგორ გამოიყენოს რუკა და რა სარგებელი შეიძლება მიიღოს მისგან.

რუკის კითხვა ნიშნავს, რომ მოსწავლეს შეუძლია პირობითი ნიშნების გამოყენებით გამოიტანოს დასკვნა ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის დამახასიათებელი თვისებების შესახებ, დაინახოს და აღიქვას ობიექტი, ადგილი, ტერიტორია რეალურთან მიახლოებულად, შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს ბუნებასა და საზოგადოებაში მიმდინარე სხვადსხვა მოვლენა, მდგომარეობა და დაამყაროს მათ შორის კავშირები.

რუკის გამოყენება რუკის ფლობის მაღალი საფეხურია. შეიძლება იცოდე კარტოგრაფიის ანბანი (პირობითი ნიშნები, მასშტაბი, რუკის პროექცია და ა.შ.), მაგრამ არ შეგეძლოს მისი სწორად კითხვა და, შესაბამისად, სწორად გამოყენება. რუკის სწორად წასაკითხად აუცილებელია, როგორც კარტოგრაფიული, ასევე გეოგრაფიული ცოდნა და, აგრეთვე, ბევრი და მრავალმხრივი სავარჯიშოებისა და დავალებების შესრულება, რადგან რუკის კითხვა – ეს უნარ-ჩვევაა და ნებისმიერი უნარ-ჩვევა კი სწორედ ვარჯიშის შედეგად გამომუშავდება.

რუკის კითხვის სწავლება ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში, ბუნებისმეტყველების კურსის შესწავლისას იწყება. კარტოგრაფიული ცოდნის საფუძვლები, გეოგრაფიული ცოდნა და რუკის კითხვა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთ, განუყოფელ მთლიან სისტემას ქმნიან, რომელიც მუდმივად ვითარდება სასკოლო განათლების ყველა საფეხურზე.

ამრიგად, რუკა გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ცოდნის მდიდარ წყაროს წარმოადგენს, ამიტომაც რუკის კითხვა გეოგრაფიის სწავლებისას მნიშვნელოვანი რგოლია.

რუკის კითხვის მეთოდები

რუკის გაგებისა და კითხვის პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია. ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში მოსწავლეები იღებენ საწყის ცოდნას და იძენენ უნარებს ადგილზე ორიენტირების შესახებ. ისინი ეცნობიან ადგილის გეგმას, გლობუსს, ნახევარსფეროებისა და საქართველოს რუკებს. ადგილის გეგმის შესასწავლად მოსწავლეები ეუფლებიან ფურცელზე ჰორიზონტის მხარეების გამოსახვას, ეცნობიან მარტივ ადგილის გეგმებს (მაგ; კლასის, სკოლის), თავად ცდილობენ მსგავსი გეგმების დახაზვას, რაც ხელს უწყობს სივრცეში ორიენტაციის უნარის გამომუშავებას. ასეთი პრაქტიკული სამუშაოების უმეტესობა მასწავლებლის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს და ისინი რუკის გაგებას ემსახურება. რუკის პირობითი ნიშნების სწორად აღსაქმელად საჭიროა, მათ ჰქონდეთ კონკრეტული წარმოდგენა შესაბამის რეალურ ობიექტზე. ასეთი წარმოდგენები კი ექსკურსიებზე, ლაშქრობებზე, ასევე ნახატებიდან, მოდელებიდან და კინოფილმებიდან ექმნებათ. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. აუცილებელია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, თუ როგორ

არიან ეს ობიექტები დაკავშირებულნი მათ კარტოგრაფიულ გამოსახულებებთან. ამისათვის კი საჭიროა მოსწავლეებს ვაჩვენოთ და შევადარებინოთ რუკები და სურათები, ასევე გამოვიყენოთ შესაბამისი მხატვრული და ლიტერატურული ნაწარმოებები.



მუშაობის შედარებით აქტიური ფორმებია რუკაზე წარმოსახვითი მოგზაურობა, ტოპოგრაფიული კარნახი და სხვ. ამ გზით მოსწავლეებს ვაჩვევთ რუკაზე მუშაობას და, ამავე დროს, ვასწავლით სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტის დამოუკიდებლად გამოსახვას.

დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოებში დიდი დრო ეთმობა პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას კლასში თუ გარემოში. კარტოგრაფიის სწავლა და სწავლება შეუძლებელია მხოლოდ მასწავლებლის სიტყვებით ან სახელმძღვანელოთი. აქ აუცილებელია მუდმივი პრაქტიკა, ჩვენება. სწავლების წარმატება და შედეგი დამოკიდებულია მეთოდურად სწორად შერჩეულ დავალებებსა და სავარჯიშოებზე. ამასთან, სწავლება უნდა იყოს თანამიმდევრული და თანდათან გადადიოდეს მარტივიდან რთულისკენ. მაგალითად, სავარჯიშოები კომპასზე უნდა დავიწყოთ მისი ისრის საშუალებით ჰორიზონტის ძირითადი მხარეების დადგენით, შემდეგ ჩავრთოთ კომპასის სკალა, მისი გამოყენებით ვასწავლოთ ჰორიზონტის, როგორც ძირითადი, ისე შუალედური მხარეები, მოგვიანებით კი – აზიმუტი.

პრაქტიკული მუშაობისას მეტად მნიშვნელოვანია, რომ ისეთი სავარჯიშოები და დავალებები შეირჩეს, რომლებიც მოსწავლეების ცხოვრებას უკავშირდება. ასევე, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მრავალფეროვანი თვალსაჩინოებების გამოყენებას და ხატვა-ხაზვას. ისინი სწავლების აქტივიზაციას უყწობენ ხელს და თავისი პედაგოგიური ეფექტით შეუცვლელია ისეთი საკითხების შესწავლისას, როგორიცაა ადგილზე, გეგმაზე, გლობუსსა და რუკაზე ორიენტირება.

მეტად მნიშვნელოვანი საკითხია რუკის გრადუსთა ბადის და მათი გეომეტრიული თავისებურებების შესწავლა, მათი საშუალებით რუკასა და გლობუსზე ორიენტირება და გეოგრაფიული ობიექტების ადგილმდებარეობის დადგენა. გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს საკითხები საკმაოდ უჭირთ მოსწავლეებს: ძირითადი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებს ფორმირებული აქვთ არასწორი სივრცობრივი წარმოდგენები დედამიწის ფორმასა და ზომებზე, მის ზედაპირზე პარალელებისა და მერიდიანების მდებარეობის შესახებ და სხვ. სწორედ ამიტომ, ამ საკითხების შედეგიანად და წარმატებით შესასწავლად, მეტად მნიშვნელოვანია ისეთი თვალსაჩინოების გამოყენება, როგორიცაა შავი (ინდუქციური) გლობუსი. ასევე მიზანშეწონილია მთელი რიგი სავარჯიშოების შესრულება, მაგალითად, რვეულებში ნახევარსფეროების რუკის გრადუსთა ბადის დახატვა, გლობუსსა და რუკაზე მერიდიანებისა და პარალელების გადაკვეთის ადგილების მოძებნა, ერთსა და იმავე გრძედსა და განედზე მდებარე გეოგრაფიული ობიექტების დადგენა და პირიქით, სხვადასხვა ობიექტის გეოგრაფიული კოორდინატების განსაზღვრა და სხვ. აღნიშნული მასალის შესწავლა უნდა მოხდეს „გლობუსი-რუკა“ თანმიმდევრობით. გრადუსთა ბადის ხაზები ჯერ განხილული უნდა იქნეს გლობუსზე, დადგინდეს მათი არსი, გეომეტრიული თავისებურებები და განისაზღვროს კოორდინატები, ხოლო შემდეგ იგივე სამუშაო უნდა შესრულდეს რუკაზე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ინფორმაცია

ტრენინგი ინკლუზიური განათლების მასწავლებლებისთვის

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, ინკლუზიური განათლების მასწავლებელთათვის, ტრენინგი ჩატარდა. ღონისძიებას თბილისისა და რეგიონის მასწავლებლები ესწრებოდნენ.

ისინი გაეცნენ Microsoft-ის მიერ შექმნილ ოპერაციულ სისტემასა და საოფისე პროგრამებს, რომელშიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის მუშაობისა და სწავლის გარემოს გასაუმჯობესებელი ფუნქციებია ჩასმული.

ტრენინგზე განხილულ იქნა ისეთი თემები, როგორიცაა:

– მოსწავლეზე ორიენტირებული განათლება და დამხმარე საშუალებები;

– სპეციალური ფუნქციების მიმოხილვა;

– შეზღუდვის სხვადასხვა ტიპები და ტექნოლოგიები;

– ტექნოლოგიების გამოყენების მეთოდები შეზღუდვის ტიპების შესაბამისად.

ტრენინგის მიზანი იყო მასწავლებლებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია ინკლუზიური განათლებისთვის არსებული ტექნოლოგიების შესახებ. ეს ტექნოლოგიები ეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს შეუქმნას ისეთი გარემო, სადაც ყველას ექნება თანაბარი წვდომა განათლებაზე.

ტექნიკურ უნივერსიტეტში ქართულ-ლიტვური პროექტი ამოქმედდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ **ქეთევან ნატრიაშვილმა** და ლიტვის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში **იონას პასლაუსკასმა**, ლიტვის რესპუბლიკის სეიმის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლიტვური ენის შემსწავლელი ცენტრი დაათვალიერეს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ლიტუანისტიკის ცენტრში ნებისმიერ სტუდენტს როგორც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან, ისე სხვა სასწავლო დაწესებულებებიდან, ასევე, ყველა მსურველს, რომელსაც უნდა შეისწავლოს ლიტვური ენა, საშუალება აქვს უფასოდ დაესწროს ლექციებს. სალექციო კურსს ლიტვიდან სპეციალურად მოწვეული პროფესორი **ვიდას კავალიაუსკასი** კითხულობს.

სტუ-სა და კლაიპედის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სტუდენტებს, რომლებიც ლიტვური ენის ცენტრში ენის კურსებზე ისწავლიან, შესაძლებლობა ექნებათ ენის შესწავლა (მოკლე საზაფხულო ენის კურსები) ლიტვაში გააგრძელონ. ენის ცოდნა მათ ასევე დაეხმარება გაცვლით საბაკალავრო პროგრამებში მიიღონ მონაწილეობა. სტუდენტები, რომლებიც ლიტვურ ენას დაეუფლებიან, ნაკლები კონკურეციის პირობებში მოხვდებიან და შეძლებენ სწავლის გაგრძელებას კლაიპედის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის ფარგლეში. ცენტრში, დღეისათვის, 100-მდე სტუდენტი სწავლობს, აქედან რამოდენიმემ უკვე მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ენის შემსწავლელ თუ საბაკალავრო გაცვლით პროგრამაში.

ლიტვური ენის შემსწავლელი ცენტრის ფუნქციონირება ქართულ-ლიტვური კონტაქტების გაღრმავებას შეუწყობს ხელს და ყველა მსურველს დაეხმარება, ენის შესწავლასთან ერთად, გაეცნოს ლიტვის ისტორიას, კულტურას, წეს-ჩვეულებებს. აღნიშნული ინიციატივა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს ეკუთვნის, დაფინანსება კი, ლიტვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განახორციელა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები, რომლებიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არსებულ ლიტვური ენის შემსწავლელ ცენტრში ენის კურსს გადიან, განსაკუთრებული მიღწევების შემთხვევაში, ლიტვის მთავრობისგან სტიპენდიას მიიღებენ.

წმინდა გიორგის კულტი საქართველოში



თეთრ ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი – სიკეთისა და რწმენის სიმბოლო, დაუმარცხებელი გმირი – საქართველოში, მრავალრიცხოვან წმინდანთა შორის, ყოველთვის უპირველესი თაყვანისცემის ობიექტი იყო. ჩვენში ძნელად მოიძებნება წმინდანი, მონამე იქნება იგი თუ ეკლესიის მოღვაწე, რომელიც პოპულარობით „ქრისტეს მხედარს“ გაუტოლდება. ამის დასტურია წმ. გიორგისადმი მიძღვნილი სხვადასხვა სახის დიდძალი მასალა:

1. **წერილობითი ძეგლები** – ქრისტიანულ სამყაროში ეკლესიის არც ერთ მოღვაწეზე არ შექმნილა იმდენი ლიტერატურა, რამდენიც წმ. გიორგის შესახებ. ქართულად ითარგმნა წმ. გიორგის ცხოვრების ამსახველი არაერთი კანონიკური თუ არაკანონიკური ე. წ. „აპოკრიფული“ ნაწარმოები: სხვადასხვა პერიოდში შექმნილი წმ. გიორგის „წამებები“, საეკლესიო საგალობლები, ეკლესიის მამების მიერ მისდამი მიძღვნილი ჰომილიები ანუ შესხმა-ქადაგებები, სასწაულების რამდენიმე ციკლი. დიდძალი რაოდენობით ქართულად თარგმნილი ლიტერატურის გვერდით, ძველ საქართველოში წმ. გიორგის კულტის უდიდესი პოპულარობისა და თაყვანისცემის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ის თხზულებებია, რომლებიც ქართულ ენაზე შეიქმნა. ასევე შემორჩენილია უამრავი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუში: თქმულება, ლექსი, პოემა თუ ლეგენდა. სრულიად საუცხოო და ორიგინალურია ქართულ წერილობით ძეგლებში წარმოდგენილი წმ. გიორგის კულტი. ეს არის, უდავოდ, ცალკე მდგომი ფენომენი, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება მოწამის საეკლესიო (მართლმადიდებლური) სახისგან, რაც ასევე „ქრისტეს მხედრის“ გაფეტიშებისა და განსაკუთრებული სიყვარულის შედეგია. თქმულებებში ღვთაებებსა და წმინდანებს შორის უფროს-უმცროსობა მათდამი ხალხის დამოკიდებულებაზეა დამყარებული. საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ლეგენდაში უზენაეს ღვთაებად წმ. გიორგია აღიარებული. ღმერთად მოიხსენებენ ლოცვის დროს წმ. გიორგის ხევსურებისა და ფშავების ხევისბერები: *„ღმერთო იხინჭის წმინდა გიორგივ“*. ღმერთის მსგავსად სცემენ თაყვანს და მასზე ძლიერად მიაჩნიათ წმ. გიორგი სვანებსაც. წმინდა გიორგი (ჯგრაგ), რომელიც მიქელ მთავარანგელოზივით, შემოქმედს გვერდით უზის, მუდმივად ადამიანის კეთილდღეობაზე ზრუნავს.

2. **დღესასწაულები** – წმ. გიორგის განსაკუთრებული პატივისცემა მხოლოდ თქმულებებით არ შემოიფარგლება. ქართველი ხალხი მას ცხოვრებაშიც ყველაზე მეტად სცემდა თაყვანს. თითქმის ყველა უმთავრესი საეკლესიო და სახალხო დღესასწაული საქართველოში წმ. გიორგის სახელთანაა დაკავშირებული. ხშირია ისეთიც, რომლის მსგავსი სხვა ქვეყნებში არ გვხვდება. *„ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარ-მოწამისა გიორგისანი ყოველსა ივერიასა შინა“.*

3. **ეკლესია-მონასტრები** – ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერი ტრადიციის მიხედვით, ჩვენში წმ. გიორგის სახელზე იმდენი ეკლესიაა აგებული, რამდენი დღეცაა წელიწადში. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვებით, *„არა არიან ბორუცუნი ანუ მაღა/ლნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი“.*

4. **სახვითი მასალა** – საქართველოში წმ. გიორგის ცხოვრების სახვითი მასალა წინ უსწრებს „წამების“ ლიტერატურულ ძეგლებს. წმინდანის ცხოვრება, მისი წამებისა და სასწაულების ამსახველი სცენები, ქართული იკონოგრაფიის ერთი დიდი თემაა. წმ. გიორგის ცხოვრების ამსახველი უამრავი სცენა ამშვენებს ეკლესია-მონასტრებს. ფრესკული მხატვრობის გვერდით, იქმნება ჭედური ძეგლები, ხატწერის ნიმუშები, ხელნაწერი წიგნის მინიატურები, მინანქრული ფირფიტები თუ ქვაზე კვეთილი რელიეფები. ეს აურაცხელი მასალა არა მარტო მხატვრული ღირსებით გამოირჩევა, არამედ საგულისხმოა თემატურ-შინაარსობრივი მრავალფეროვნებითაც. თ. საყვარელიძის დაკვირვებით, *„საქართველოში დადასტურებულია წმ. გიორგის თითქმის ყველა ის იკონოგრაფია (ცალკე წარმოდგენილი ფიგურა სხვადასხვა ვარიანტებით, სიუჟეტური კომპოზიცია თუ მისი ცხოვრების ამსახველი მთელი ციკლი), რომელიც სხვა ხალხთა ხელოვნებიდანაც კარგადაა ცნობილი“.* პარალელურად ქართველი ოსტატები ქმნიან სრულიად ორიგინალურ, ადგილობრივ საეკლესიო-სახალხო რწმენა-ტრადიციებზე დაფუძნებულ, იკონოგრაფიულ ვერსიებს, რომლებიც წარმოადგენენ მნიშვნელოვან წყაროებს წმ. გიორგის შესახებ შემონახული ლეგენდების კვლევის თვალსაზრისითაც.

საქართველოში წმ. გიორგის კულტის განსაკუთრებულ პოპულარობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ჩვენი ქვეყნის სამი სახელიდან ერთ-ერთი გიორგია. *„ხოლო ქუეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა. პირველად – საქართველო, მეორედ – ივერია, მესამედ – გიორგია... კუალად გიორგიაცა მჴნედ მომჭირნეობისა მუშაკობისა ქართველთათა ეწოდა [რამეთუ „გიორგი“ მუშაკად ითარგმნების]“.* სხვა ქვეყნის მცხოვრებთათვის კი საქართველო მხოლოდ სახელ „გიორგისთან“ ასოცირდება. *„არამედ ევროპელნი და ბერძენნი უწმობენ ჯორჯიანსა, და რუსნი გრუზსა, და მაჰმა/დიანნი გურჯსა მათითა ორფოღრაფიისა გამო, არამედ იგივე გიორგიავე არს“.*

გველეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგი იყო გამოსახული საქართველოს უზენაესი ხელისუფლებისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოზე – საქართველოს სახელმწიფო დროშაზე, რომელსაც მაშინ „დროშა სამეფო“, „დროშა სეფე“ ერქვა. საქართველოს სახელმწიფო დროშა – ერთიანი საქართველოს შემაკავშირებელი, მისი სიმბოლო, მისი სიძლიერისა და სიამაყის გამოხატულება, *„ემბლემა ერის პატიოსნებისა, ერის ღირსებისა“* (ილია) – თეთრი ფერის ყოფილა. არსებობს ცნობა, რომლის მიხედვითაც მასზე წმ. გიორგის სიმბოლიკა იყო გამოსახული. შუა საუკუნეების პოლონელ მოგზაურს, კოტოვიჩს, ეროვნული ნიშნით – ქართული სახელმწიფო დროშით – იერუსალიმში სალოცავად ჩასული ქართველები უნახავს. *„გეორგიანები გიორგი მთავარმოწამეს (რომლის სახელიც თავიანთთვის ეროვნულ სახელადაც კი აქვთ შეთვისებული) უაღრეს თაყვანსა სცემენ და სხვა წმინდანებზე მეტად განსაკუთრებით სცემენ პატივს, თავის მფარველადაც (პატრონადაც) მიაჩნიათ (ადიდებენ) და სამხედრო დროშებზე დახატული მისი სახე ყოველთვის დააქვთ ხოლმე“.* მეცნიერთა მიერ ეს დროშა საქართველოს ეროვნულ დროშად არის მიჩნეული – *„ვითარცა მათი ეროვნული ნიშანი, და არა სამხედრო“.* მართალია, ჯერ კიდევ არ არის დადგენილი, ალამზე წმ. გიორგის სახე უკვე XI-XIII საუკუნეებში იყო გამოხატული თუ იგი შედარებით გვიანი პერიოდის დანართია, მაგრამ ცხადია, საქართველოს ეროვნული სახელმწიფო დროშის თეთრ ფონზე გამოისახებოდა გველეშაპთან მებრძოლი ცხენოსანი წმ. გიორგი შინდისფრად.

წმ. გიორგი – მთელ საქართველოში უპირველესი თაყვანისცემის ობიექტი – შესაბამისად, ყველაზე რთული და იდუმალებით მოცულია. წმინდანის მრავალგვარი სახე, ამა თუ იმ ასპექტის წინ წამოწევა, მის შესახებ ახალი თეორიების განვითარების შესაძლებლობას იძლევა და სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენლების (ფილოლოგების, ხელოვნების ისტორიკოსების, მითოლოგების, ეთნოლოგების და სხვა) ინტერესის სფერო ხდება. ცხადია, წმ. გიორგის უსაზღვრო თაყვანისცემას, თვით შემოქმედზე ზეაღმატებულობას, საეკლესიო მოძღვრებასთან არაფერი აქვს საერთო. პირიქით იგი პირდაპირ არღვევს მას. შესაბამისად, უდავოა, რომ ქართველი ხალხის წარმოდგენაში, ამ წმინდანს ძველი, წარმართული ღვთაების ადგილი უკავია. ერის ფსიქიკიდან საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული რელიგიის ამოშლა ქრისტიანობისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა, ამიტომ ახალ სარწმუნოებაზე გადასვლა ძველზე ახლის დაკავშირებით ხდებოდა. ამის ერთ-ერთი დასტური ქრისტიანული სალოცავებიცაა, რომელთა უმრავლესობა ყოფილ წარმართულ ნაკერპალებზეა დაფუძნებული. სწორედ ძველი და ახალი სარწმუნოებების ჭიდილში ხდებოდა ძველ და ახალ ღვთაებათა შერწყმა და ახალი კულტის გაჩენა-დამკვიდრება. თუმცა წმ. გიორგის მრავალმხრივობა და განსაკუთრებული პოპულარობა გვაფიქრებინებს, რომ იგი ვერ ჩაენაცვლებოდა ერთ რომელიმე ღვთაებას და რომ მისი კულტი ფორმირებულია თანდათანობით, შუა საუკუნეების უძველესი რელიგიურ-მითოლოგიური სახეების შერწყმის გზით. წმ. გიორგის ერთიანი ხატი, უთვალავი ეპითეტითა და ფუნქციით, დაუსრულებლად იყოფა და მის სხვადასხვა სახეს ავლენს.

ასე რომ, მრავალმხრივი, ხალხური ეპითეტით – „მრავალძალი“ – წმ. გიორგი – თეთროსანი, მოისარი, მეხმტყორცნელი, ამინდის გამგებელი, მინათმოქმედთა და მესაქონლეთა მფარველი, უნივერსალური მომმარაგებელი, რომელიც უხვ მოსავალსა და საქონელს იძლევა, შვილების მიმცემი, მკურნალი, მორალის მკაცრი დამცველი, მთავარი მსაჯული, ულმობელი დამსჯელი – თავისი ეპითეტებითა და ფუნქციებით წმინდა ქართული განუმეორებელი მოვლენაა. ის არის ქართველთა რელიგიური აზროვნებისა და ხალხურ წარმოდგენაში არსებული იდეალის შერწყმით მიღებული სრულქმნილი ხატი.

საქართველოში მეომარი წმინდანებისადმი, განსაკუთრებით წმ. გიორგის ცხოვრებისადმი, ინტერესი XI-XII საუკუნეებში, ძლიერი ფეოდალური მონარქიის ფორმირების პროცესში, იზრდება. საბრძოლო სულისკვეთების ასამაღლებლად, ამ დროს, განსაკუთრებით იყო აქცენტირებული ყოვლისშემძლე ძალის მქონე დაუმარცხებელი

გმირის კულტი. ჩვენში წმ. გიორგის სასწაულმოქმედი, ზებუნებრივი ძალის ამსახველი სცენები, ღვთივკურთხეული გმირის გამარჯვებული სახე, ყოველთვის სჭარბობს წამების ეპიზოდებს, რაც, როგორც ჩანს, ქართული საბრძოლო პათოსიდან მომდინარეობს. ცნობილი კომპოზიცია – ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი, რომელიც შუბით გმირავს გვირგვინოსან მეფე დიოკლეტიანეს – ვიქტორ ლაზარევის მიერ აღიარებულ იქნა „წმინდა ქართულ იკონოგრაფიულ ვერსიად“. ქრისტიანულ იკონოგრაფიაში ამ სასწაულის ორი რედაქცია არსებობს. ერთში ცხენოსანი წმ. გიორგი შუბით (ან ხმლით) ებრძვის გველეშაპს, ხოლო მეორე შემთხვევაში ბოროტების სიმბოლოდ წარმოდგენილია ცხენის ფეხქვეშ განრთხმული ურჯულო მეფე დიოკლეტიანე. საყურადღებოა, რომ წმ. გიორგის მიერ გველეშაპის მოკვლის სასწაული ადრინდელ ქართულ სახვით მასალაში არ გვხვდება. ის უფრო გვიანდელია მაშინ, როცა მეორე რედაქციის (წმ. გიორგის მიერ დიოკლეტიანეს განგმირვა) უადრესი მაგალითები სწორედ საქართველოში მოიძებნება. გ. ჩუბინაშვილის თქმით, ეს სასწაული, ესოდენ პოპულარული ქართულ ხელოვნებაში, განსაკუთრებით X-XI საუკუნეების ქართულ ჭედურობაში, გადმოცემულია სიმბოლური დატვირთვის მქონე კომპოზიციით და არ ასახავს ლიტერატურულ წყაროებზე დაფუძნებულ ცხოვრებისეულ ეპიზოდს. არსად, წმ. გიორგის ცხოვრების არცერთ რედაქციაში, მსგავსი ეპიზოდი არ არის მოთხრობილი. ის არ წარმოადგენს რეალურად მომხდარი ფაქტის ასახვას, არამედ არის განზოგადებული ხატი ბოროტებაზე გამარჯვებული სიკეთისა, რაც სიმბოლურად იდეისათვის მებრძოლი გმირისა და მის ფერხთით განრთხმული დამარცხებული მტრის გამოსახვითაა შექმნილი. საქართველოში ამ კომპოზოციის სწორედ X-XII საუკუნეებში მომრავლება, გ. ჩუბინაშვილის აზრით, კიდევ ერთი ფაქტორით აიხსნება. *„არაა შემთხვევითი, რომ ჩვენში წმ. გიორგის მიერ დათრგუნული ბოროტი საწყისი გვირგვინოსანი ბიზანტიელი იმპერატორის სახით არის წარმოდგენილი: ქართველი ოსტატებისათვის უცხო არ იყო პოლიტიკური ბრძოლის საკითხები; მათ, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის მთელ მოწინავე საზოგადოებას, დიდად აღელვებდათ საქართველოზე ბიზანტიის შემოტევა X საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან მოყოლებული. ბოროტი ძალის დათრგუნვა ისეთი უმამაცესი რაინდის მიერ, როგორიც წმ. გიორგია, სრულიად კონკრეტულ და აქტუალურ გამოხატულებას პოულობს პოლიტიკურ მეტოქეში – ბიზანტიის იმპერატორში“.*

საქართველოში არანაკლებ გავრცელებულია წმ. გიორგის ფიგურა-ხატი – ძლევამოსილი და ტრიუმფატორი, ქრისტიანობის მცველი ჭაბუკი რაინდი საომარი სამოსითა და აღჭურვილობით – გამოსახული მკერდამდე ან წელამდე, ან ფეხზე მდგომი მთელი ტანით.

ასე რომ წმ. გიორგისთან დაკავშირებულ ქართულ სახვით მასალას სიმრავლითა და მხატვრული ღირსებებით მსოფლიო ქრისტიანულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. გარდა ამისა, თავისი ინდივიდუალური, წმინდა ქართული იკონოგრაფიული ვერსიებით, ქართველმა ოსტატებმა გარკვეული წვლილიც კი შეიტანეს ქრისტიანული იკონოგრაფიის ისტორიაში.

გვანცა გეგეჭკორი
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმ-ნაკრძალებისა და სამუზეუმო კოლექციების მართვის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

ინფორმაცია

მავთულხლართების პირისპირ დარჩენილი სკოლები

დიცი, დვანი, ხურვალეთი, ქვეში, ერგნეთი... ამ სოფლების სახელები, ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების გამო, მთელმა ქვეყანამ გაიგო. გორისა და ქართლის ტერიტორიაზე მდებარე სოფლების მაცხოვრებლებს ერთი ტკივილი და საფიქრალი აქვთ – სად გაივლის საოკუპაციო ხაზი, რომელსაც, ყოველდღიურად, ასობით მეტრით აგრძელებენ რუსი სამხედროები; მიწის რა ფართობი მოექცევა ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე, შეეზღუდებათ თუ არა სარწყავი წყლით სარგებლობა და მთავარი – რამდენი სახლი მოექცევა საოკუპაციო ღობის მიღმა...

კონფლიქტის ზონაში გახშირდა ვიზიტები როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუმრების. უცხოელი დიპლომატები აცხადებდნენ, რომ შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ნანახმა მკვეთრად გადააჭრაბა მათ ხელთ არსებულ ინფორმაციას. **რიჩარდ ნორლანდი**: *„ვითარება, რასაც ჩვენ ვხედავთ, ტრაგიკულია. მე ეს მაგონებს ბერლინის კედელს, როდესაც ხელოვნურად აღმართული ბარიერებით ხდება მოსახლეობისთვის ხელის შეშლა, ადამიანები ვერ ახერხებენ საკუთარ მიწებსა და წინაპრების საფლავებზე გასვლას. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები ჟენევაში, ეს უფრო ჰუმანიტარული, ადამიანური ასპექტია, რაც უკავშირდება ადამიანების ცხოვრებას, რომლის გადაწყვეტა ადამიანურ დონეზე შეიძლება “.*

ასეთ რთულ ვითარებაში მოქცეულ საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესი არ შეწყვეტილა. მიუხედავად ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენებისა, ისევე როგორც დანარჩენ სოფლებში, დიცის საჯარო სკოლაშიც სასწავლო პროცესი ჩვეულ რეჟიმში გრძელდება, იქ ბავშვები მეზობელ სოფელი ქორდიდანაც დადიან. მოსახლეობის განცხადებით, სოფელი არ უნდა დაიცალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოკუპანტების სასარგებლოდ „საზღვრები“კიდევ შეიძლება შეიცვალოს. მათი თქმით, თუ ოდესმე სოფლის მოსახლეობისაგან დაცლის საფრთხე გაჩნდება, ეს არა ოკუპანტების შიშის, არამედ იმ გაჭირვებისა და სოციალური პირობების გამო მოხდება, რაშიც დიცელებს უწევთ ცხოვრება.

გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი კომისია შეიქმნა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში პირველი სხდომა გამართა. კომისიის შემადგენლობაში სამინისტროებისა და მთავრობის კანცელარიის რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობების დეპარტამენტის წარმომადგენლები შედიან, მათ შორის განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაური**.

4 ოქტომბერს, უწყებათაშორისი კომისიის წევრი ლია გიგაური ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში– ქვეშში, დიცსა და ერგნეთში იმყოფებოდა, სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, მოსახლეობას, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შეხვდა.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, სამინისტრო მთელი წლის განმავლობაში ეცნობოდა და ადგენდა ამ რეგიონში არსებული საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურულ და სასწავლო-საგანმანათლებლო საჭიროებებს. ამ ეტაპზე, უკვე შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი და, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, მომავალი სამოქმედო გეგმის განსაზღვრა მიმდინარეობს.

ლია გიგაურმა და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებმა მასწავლებლებსა და მოსწავლეებს მიმდინარე სოციალური პროგრამები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხვა მნიშვნელოვანი პროექტები გააცნეს.

სამთავრობო კომისიის მორიგ სამუშაო შეხვედრაზე ლია გიგაური კომისიის წევრებს წარუდგენს ანგარიშს ადმინისტრაციულ საზღვართან მდებარე საჯარო სკოლებში არსებულ მდგომარეობასთან, სკოლების გათბობის, მოსწავლეთა ტრანსპორტირებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით.

როგორც სხდომაზე გამოიკვეთა, ამ სოფლების მოსახლეობის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას, ზამთრის მოახლოების გამო, გაზმომარაგება და შეშით უზრუნველყოფა წარმოადგენს. სხდომაზე განიხილეს, ასევე, სკოლების გათბობისა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების, პროცესებში საერთაშორისო საზოგადოების ჩართვისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

სოფლის სახნავ-სათეს მიწებზე გავლებული ე.წ. საზღვრები და საკუთარი ხელით დანგრეული სახლები , დარღვეული მშვიდი ცხოვრება... ძალიან მტკივნეულია იმის მოსმენაც, რომ თანადგომისათვის ჩასულ ადამიანებს იქაურები მადლობას უხდიან და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმისგან დაცვას სთხოვენ, *„იმედი გვაქვს, საოკუპაციო რეჟიმის – მავთულხლართების პირისპირ მარტო არ აღმოვჩნდებით“*– აცხადებს დვანელი ქალბატონი. *„ჩვენ არსად წასვლას და არაფრის დათმობას არ ვაპირებთ“* – ასეთი სულისკვეთებით განმსჭვალული მოსახლეობა, მათ შორის, მასწავლებლები და მოსწავლეები ცხოვრებას ჩვეულ რიტმში აგრძელებენ.

მოამზადა
ლალი ჯელაძემ

იურისტის კონსულტაცია

სკოლის დირექტორი მოითხოვს, რომ მასწავლებლები სკოლაში დარჩნენ 5 საათამდე. რამდენად მართებულია ასეთი მოთხოვნა?

მასწავლებლისათვის თანამდებობრივი სარგოს მიცემა სამუშაო საათების მიხედვით არ ნიშნავს, რომ იგი, საგაკვეთილო საათების, სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებისა და მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისათვის საჭირო დროის გარდა, აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს სკოლაში. მასწავლებელს უფლება აქვს მისი სამუშაოს ნაწილი – პროფესიულ განვითარებაზე მუშაობა, გაკვეთილებისათვის მომზადება და სხვა შეასრულოს სკოლის გარეთ.

შეიძლება თუ არა, რომ დირექტორს ჰქონდეს სრული დატვირთვა, თუკი ეს გამოიწვევს სკოლის პედაგოგის საათების შემცირებას?

სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირებისა (გარდა მასწავლებლისა) და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების სამუშაო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 10 საგაკვეთილო საათს.

გამომდინარე აქედან, სკოლის დირექტორს არ შეიძლება ჰქონდეს 10 საგაკვეთილო საათზე მეტი.

ითვალისწინებს თუ არა საქართველოს შრომის კოდექსი დამატებით შვებულებას ბავშვის მოვლის გამო?

დასაქმებულს, თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო – 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი. ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულება შეიძლება მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს.

ვალდებულია თუ არა დირექტორი, დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილება, მასწავლებლის გათავისუფლების შემთხვევაში?

გათავისუფლების შემთხვევაში, დასაქმებულს უფლება აქვს, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებლის შეტყობინების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გაუგზავნოს მას წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე, ხოლო დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულის მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში წერილობით დაასაბუთოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

ასეთ შემთხვევაში, დასაქმებულს უფლება აქვს, წერილობითი დასაბუთების მიღებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში სასამართლოში გაასაჩივროს დამსაქმებლის გადაწყვეტილება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

გრიგოლ ბაკურაძე
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

სპორტი

კალათბურთი აუქციონმა შეიწირა

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

წინა კვირაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის 122-ე საჯარო სკოლაში კალათბურთის წრის მუშაობა შეწყდა, რადგან ბავშვებს დარბაზში არ უშვებდნენ სავარჯიშოდ, რასაც მოზარდების საპროტესტო აქციაც მოჰყვა. ცხადია, ფრიად არასასიამოვნოა, როცა მოსწავლეებს რამეში ხელი ეშლებათ – სწავლა იქნება ეს, სპორტი თუ მათი ჯანსაღად, სრულფასოვნად განვითარებისთვის აუცილებელი ნებისმიერი სექტორი. თუმცა როგორც საქმის ვითარებაში გარკვევამ დაგვარწმუნა, დირექციის დადანაშაულებაც ძნელია. 122-ე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა **მაია ჭუმბურიძემ** განგვიმარტა, რომ პრობლემა აუქციონის საჭიროებამ წარმოქმნა, რომელშიც საკალათბურთო სექციის ხელმძღვანელობამ მონაწილეობა არ მიიღო.

საქმის ვითარება ასეთია: 122-ე საჯარო სკოლაში წინა წლებშიც არსებობდა კალათბურთის ჯგუფი, ოღონდ ეს არ არის სასკოლო წრე და არა კალათბურთად არჩეული სპორტის გაკვეთილის ფარგლებში მოთამაშეები. მსურველებს კერძო პიროვნება ავარჯიშებდა. მაია ჭუმბურიძის ინფორმაციით, ანალოგიური ფორმით ამავე სკოლაში, ცეკვის ჯგუფიც მუშაობდა, ოღონდ მანამდე არც ერთი არ იხდიდა არანაირ გადასახადს, ანუ სრულიად უფასოდ იყენებდნენ სკოლის მატერიალურ ბაზას. არადა, მსგავსი გადასახადი სკოლისთვის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა.

შარშან, როცა მაია ჭუმბურიძე მოვიდა ამ სკოლაში, აღნიშნულ საკითხზე კონსულტაციები გაიარა სამინისტროს სათანადო სამსახურში და სწორედ მათი რჩევების საფუძველზე, კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოცხადდა ტენდერი. იმავე ცეკვაში გამოჩნდა მსურველი, ოღონდ ახალი ჯგუფი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა და დღესაც აგრძელებს მუშაობას. ასევეა სიმღერაშიც ფოლკლორული ჯგუფი. კალათბურთშიც თურმე თავიდან გამოჩნდნენ მსურველები, ოღონდ სხვა ხალხი და არა ისინი, ვინც მანამ მუშაობდა. მათ თურმე განრიგიც კი წარმოადგინეს, რომელ დღეებში და რომელ საათებში სურდათ ვარჯიში, მაგრამ ბოლოს იუარეს და არც აუქციონში მიიღეს მონაწილეობა. სამწუხაროდ, არც სხვა მსურველები გამოჩნდნენ, თუმცა ეს სკოლა კალათბურთის გარეშე მაინც არ რჩება, რადგან სპორტის გაკვეთილზე ერთ-ერთ სახეობად ისიცაა არჩეული.

დასასრულს, გეტყვით, რომ უკალათბურთოდ არც ის ძველი ჯგუფი დარჩენილა და დაშლილა, რადგან ერთ-ერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა შეიფარა და იქ აგრძელებენ ვარჯიშს.

რაგბი – სკოლაში, გოგოები – რაგბიში

თანდათან სულ უფრო იკიდებს ფეხს სასიამოვნო ტრადიცია, როცა ქვეყნის საჯარო სკოლებში სპორტის ესა თუ ის სახეობა სასკოლო საგნად მკვიდრდება. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ყვარლის რაიონზე ვწერდით, სადაც რამდენიმე სკოლაში, უახლოეს დღეებში, ძიუდოს სწავლებას დაიწყებენ. ამჯერად კი რაგბის კავშირის თბილისურ ნოვაციაზე გესაუბრებით.

სასიამოვნოა, რომ საუბარი თავისი სპეციფიკით და შინაარსით გამორჩეულ ისეთ სახეობაზე გვიწევს, როგორიც რაგბია. გუნდური სათამაშო სახეობები ინდივიდუალურებისგან ხომ სწორედ თავისი გუნდურობის პრინციპის გამო განსხვავდებიან – იქ თუ სპორტსმენი მხოლოდ საკუთარი თავის იმედადაა, აქ შეუძლია, თანაგუნდელის იმედიც ჰქონდეს; იქ თუ მის შეცდომას ვერავინ დააზღვევს, აქ ამის შანსი რჩება და შეუძლია, სხვამ გამოასწოროს მისი ხარვეზი; იქ თუ მისი შეცდომა სხვას არ აზარალებს, აქ, შეიძლება, მთელი გუნდი დააღალატოს, რაც პასუხისმგებლობას ზრდის. ერთი სიტყვით, გუნდურში გუნდურად თანაცხოვრებას, შრომას და არსებობას სწავლობენ. თუმცა ნუ გვიწყენენ ფეხბურთის, კალათბურთის და სხვა სათამაშო სახეობების წარმომადგენლები, მაგრამ სწორედ რაგბი ავითარებს ისეთ თვისებებს, როგორიცაა ამტანობა, გამძლეობა; აქ მოზარდი ეჩვევა მჭიდრო, კონტაქტურ შერკინება-მიძალებას, თუნდაც ტკივილის ატანას, სწავლობს მოთმინებას, ყველაზე უფრო სწრაფად გადალახავს შიშის ფაქტორს, ანუ ყალიბდება სრულყოფილ პიროვნებად, რაინდად. სწორედ ამიტომაა, რომ სარაგბო ორთაბრძოლისას მომხდარი ჩხუბი მოედანზევე რჩება და თამაშის შემდეგ მისი გაგრძელება მიუღებელი საქციელია. ამავე დაუწერელი კანონის ჩარჩოებშია, რომ მატჩის შემდეგ მოგებული წაგებულს დერეფანს უკეთებს და ისე აცილებს სტადიონიდან; მასპინძელი აუცილებლად უწყობს ბანკეტს სტუმარს და ისე აცილებს სახლში და კიდევ ბევრი დადებითი თვისება, რაც სულგრძელთა ხვედრია. ისეთი დადებითი თვისებების შესისხლხორცება, როგორიცაა შიშის დაძლევა, მოთმინება, ამტანობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდებში – საკუთარი თავის რწმენა ხომ მნიშვნელოვნად განაპირობებს, რამდენად თავდაჯერებული, ძლიერი ნებისყოფის პიროვნებად გაიზრდება იგი.

თემას რაც შეეხება, ამ დღეებში თბილისიც შეუერთდა რაგბის საერთაშორისო საბჭოს პროგრამას – „გაიცანი რაგბი“, რომელიც ითვალისწინებს ევროპის მასშტაბით სპორტის ამ სახეობის განვითარებას და სამომავლოდ ლიცენზირებულ მორაგბეთა რაოდენობის ზრდას. ის სამი ეტაპისგან შედგება – სცადე, ითამაშე, დარჩი რაგბიში.

ეს პროგრამა თბილისში ოფიციალურად 4 ოქტომბერს ამოქმედდა. ამ საქმეში კურატორობისა და მხარდაჭერა-დახმარებისთვის დედაქალაქში ჩამოსული იყო რაგბის საერთაშორისო საბჭოს ევროპის რეგიონული განვითარების მენეჯერი **დუგლას ლენგლი**. გარდა პროგრამაში დეკლარირებული საერთო ამოცანებისა, პროექტის ავტორებს საქართველოში კონკრეტული მიზნები აქვთ – 2015 წლის ბოლომდე რეგისტრირებულ მოთამაშეთა 20%-ით გაზრდა, 2016 წლისთვის კი ქალ მორაგბეთა ოდენობის 10%-ით მომატება... აქვე დავძენთ, რომ ეს უკანასკნელი მოთხოვნა – ქალთა როლის გაზრდა და რაოდენობრივად მათი გათანაბრება მამაკაცებთან როგორც სპორტში, ასევე ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში, თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიაა.

პროექტისთვის საპილოტედ თავდაპირველად სამი სკოლა შეირჩა – 52-ე საჯარო, წმინდა გიორგის საერო და კიკეთის იაკობ გოგებაშვილის სახელობისა. 4 ოქტომბერს იქაურ მოზარდებს ეროვნული ნაკრების კაპიტანი **ირაკლი მაჩხანელი** და წევრები – **რევაზ ბელქანია**, **დავით კიკნაძე** და **სანდრო ნიჟარაძე** ესტუმრნენ, რომლებმაც ბავშვებს რაგბის პრაქტიკული გაკვეთილები ჩაუტარეს. ღონისძიებაში, საერთო ჯამში, 6-7 წლის 50-ზე მეტმა მოზარდმა მიიღო მონაწილეობა, რომელთა შორის 52-ე სკოლის გოგონებიც იყვნენ. უნდა ითქვას, რომ ისინი მეტად აქტიურად ჩაერთნენ სარაგბო გაკვეთილებში.

წიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა



კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 15 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. ფორმები
5. გარეული ცხოველები
6. გარეული ფრინველები
7. პროფესიები
8. ხილ-ბოსტნეული
9. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
11. ჰიგიენის ნივთები
12. საოჯახო ნივთები
13. ტრანსპორტი
14. წყლის ბინადრები
15. ინგლისური ანბანი
16. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაქრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. თეიმურაზ I
22. ვახტანგ VI
23. გიორგი მერჩულე
24. გრიგოლ ორბელიანი
25. დავით ალმაშენებელი
26. გურამ ასათიანი
27. გრიგოლ როგაძიძე

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

„მსოფლიო დიტექტივების კლასიკოსები“

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!

- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა** ახალი
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში** ახალი
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება** ახალი
- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა გედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/აGE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK